ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 6 ნოემბერი 2008 №257 (3481) ფასი 50 თეთრი




## არგენტინას მწვრთნელად ღმერთი დაუნიშნეს

### არადა, ურწმუნოც ძალიან ბევრია

„გვირგვინის დაკარგვისა არ მეშინია. ჩვენ მცირე კრიზისი გვაქვს და ლაჩარი უნდა ვყოფილიყავი, გამოწვევას რომ შევშინებოდი“ — აი, ასეთი სიტყვები ბრძანა მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთმა „გვირგვინოსანმა“ დიეგო არმანდო მარადონამ პრესკონფერენციაზე, რომელიც მისი არგენტინის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნას მიეძღვნა.

მოგეხსენებათ, სულ ცოტა ხნის წინ თბილისში გაწბილებული და შინ ცუდი მოგონებებით დაბრუნებული დიდი დიეგო ეროვნული გუნდის თავკაცად სამშაბათს უნდა გაეფორმებინათ და ყველაფერი ისე აგიხდეთ.

„ცუდი ის იქნებოდა ძველებურად ცხოვრება რომ გამეგრძელებინა“ — თქვა 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა და ყოფილმა ნარკომანმა, რომლის დებიუტიც 19 ნოემბერს შოტლანდიაში უნდა შედგეს.

„დღეს ისევ ის განცდა დამეუფლა, ფეხბურთელობის დროს რომ მეუფლებოდა ხოლმე. ოცნება ამისრულდა. მინდა ჩემმა ფეხბურთელებმა მოედანზე ბურთი აკონტროლონ და საკუთარი თამაშით ისიამოვნონ. კაპიტნად ვინ მეყოლება? ვფიქრობ, კაპიტნობასთან ყველაზე ახლოს ხავიერ მასკერანოა“.

გამოკითხვებმა კი აჩვენა, რომ არგენტინის მოსახლეობის 70 პროცენტი მარადონას ნაკრების მწვრთნელად დანიშვნამ დააფრთხო.

„ისინი იძულებულნი გახდებიან მიგულშემატკივრონ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი არგენტინელებად აღარ ჩაითვლებიან. ვფიქრობ,საფეხბურთო საზოგადოებას ჩემი მწვრთნელობა უნდა და უხარია. იმედი მაქვს, ისინი დროს და შანსს მომცემენ“.

გუშინვე: მასკერანომ კაპიტნობაზე უარი თქვა, ჩვენი კაპიტანი ხავიერ ძანეტიაო...

პაპუნა ძიდია

# ფარული კამერა ზესტაფონში

## გაბონელი პოლ კესანი იმერლებს ბრალს სდებს



## კანის ფერი საქმეს ამუქებს. ოღონდ: ექსპერტიზა აუცილებელია!

„ზესტაფონიდან“ უცნაურად გაუჩინარებული და შემდეგ ისრაელში აღმოჩენილი გაბონელი ფეხბურთელის, პოლ კესანის საქმემ ფრიად საინტერესო გაგრძელება ჰპოვა.

შეგახსენებთ, რომ წინა სეზონის დასრულების მერე სამშობლოში დაბრუნებული პოლ კესანი კლუბს აღარ დაუბრუნდა, ხოლო როცა ზესტაფონელებმა მისი კვალის მოძიება დაიწყეს, გაარკვიეს, რომ ფეხბურთელს სხვა კლუბისთვის მიუკითხავს და, ცხადია, შესაბამისი შინაარსის შეტყობინება ფიფაშიც აფრინეს. კესანის ვერსიაც მაშინ გაცხადდა — ზესტაფონში მცემდნენ და ამიტომაც იქ აღარ დამედგომებოდაო. ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ კესანი მუქკანიანია, საქმე რთულდება და რასიზმის სახეს იღებს.

გუშინ კი „სარბიელმა“ მოიპოვა ფოტოები, რომლებითაც მტკიცდება, რომ... თუმც ნუ ავჩქარდებით და დასკვნებს ნაჩქარევად ნუ გამოვიტანთ. ეს ის შემთხვევა არ არის, როცა მხოლოდ თვალებს უნდა ენდო...

მობილური ტელეფონით გადაღებულ ამ ფოტოების თაობაზე დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ნამდვილად ზესტაფონის სტადიონის გასახდელშია გადაღებული. აი, ამის იქით კი რაიმეს მტკიცება, ჩვენი აზრით, შეუძლებელი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ძნელია და სერიოზულ ექსპერტიზას და მტკიცებულებას საჭიროებს.

დიახ, ფოტოებზე აშკარად ჩანს დაზიანებები (განსაკუთრებით ფერად ვერსიებში), მაგრამ იმის დამტკიცებას, რომ ეს დაზიანებები სწორედაც რომ ცემის შედეგია და არა, ვთქვათ, მატჩის დროს ორთაბრძოლისას მიღებული, ეგებ პროფესიონალური ექსპერტიზაც არ ეყოს.







ეროვნული ბიბლიოთეკა

# კესანის ინწილო-ბინწილო საქმე

## გაბონელმა ფოტოები გამოაგზავნა: ეს მე ვარ, ნაცემი!

**პოლ კესანის** საქმე ძალიან დაიხლართა და ახალი გაგრძელება მოჰყვა.

თავიდან დავიწყოთ?

კი ბატონო, კესანი გაბონის ნაკრებში სათამაშოდ ზაფხულში წავიდა, საიდანაც „ზესტაფონში“ აღარ დაბრუნდა, არადა, იმერულ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლის 1 აპრილამდე აქვს.

სექტემბრის დასაწყისში გაბონელმა ისრაელის უმაღლესლიგელ კირიათ შმონას „ჰაპოელს“ მიაშურა, ცოტა ხანი ივარჯიშა და კონტრაქტიც გააფორმა.

როგორია?! კონტრაქტს აფორმებს უცხო კლუბთან, როცა სხვა კლუბთან მოქმედი ხელშეკრულება აქვს!

ბუნებრივია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ისრაელის ფეხბურთის ასოციაციას კესანის გასათავისუფლებელი სერთიფიკატი არ გაუგზავნა, ამის გარეშე კი გაბონელს „ჰაპოელში“ თამაშის უფლება არ აქვს.

კესანის საქმე ფიფაშია გადაგზავნილი, ყველაფერი ფეხბურთელის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, რისი იმედი ჰქონდა (და აქვს) გაბონელს?

ამბობს, „ზესტაფონში“ რასისტულ შეურაცხყოფას მაყენებდნენ და ფიზიკურადაც მისწორდებოდნენო.

თუ კესანი ამას დაამტკიცებს, ფიფას უფლება აქვს, „ზესტაფონთან“ მისი კონტრაქტი ავტომატურად გააბათილოს.

და, აი, კესანი შეტევაზე გადმოვიდა. ოთხი დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს საერთო განყოფილებაში წერილი მოვიდა, სადაც კესანის ახსნა-განმარტებებია მოყვანილი, თუ რატომ დატოვა მან „ზესტაფონი“.

პლუს, გაბონელს წერილში ფოტომასალაც აქვს დართული — ფოტოები, სადაც ის ნაცემია.

ფოტოებს აქვე ხედავთ: იურიდიულად რომ შევხედოთ, არსაიდან ჩანს, რომ ეს კესანია; ან თუ მართლაც კესანია, არსაიდან ჩანს, რომ ზესტაფონშია გადაღებული...

ცხადია, ეჭვი გაგიჩნდება ადამიანს.

ასეა თუ ისე, ფოტოებდართული წერილი სფფ-ის გენმდივნის საერთო განყოფილებიდან „ზესტაფონს“ გადაეგზავნა და ჩვენც კლუბის იურისტ *ნიკა არსენიშვილს* დავუკავშირდით. სწორედ არსენიშვილმა გადმოგვიგზავნა ეს ფოტოები...

— რას იტყვით ამ ფოტოებზე?

— რეალობას მოკლებულია და ყველას ეჭვი შეეპარება — ეს მართლა კესანია თუ არა. თუმცა საქმე სერიოზულია და ფიფას გავუგზავნით საპასუხო წერილს.

— როდის?

— 10 ნოემბრამდე. მაგრამ საქმე ისაა, რომ წერილი 26-გვერდიანია და ფრანგულადაა დაწერილი. მის გადათარგმნას დრო სჭირდება. თავად ფიფას წერილი ერთგვერდიანია და ამაზე პასუხს 10-მდე გავაგზავნით, კესანის 26-გვერდიან საჩივარს კი, რომ გადავთარგმნით, ერთ კვირაში მოვამზადებთ საპასუხო წერილს და ფიფას ამასაც გავუგზავნით. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

— ზედაპირულად მაინც გეცოდინებათ უკვე: რა წერია კესანის საჩივარში?

— რასისტული და ფიზიკური შეურაცხყოფის გამო კონტრაქტის გაწყვეტას ითხოვს „ზესტაფონთან“ და პლუს, ჩვენგან ჯარიმის გადახდას ისრაელურ კლუბთან მისი ტრანსფერის შეფერხებისთვის.

— თქვენ რას მისწერთ ფიფას?

— ჩვენი მოთხოვნა კესანის დისკვალიფიკაციაა. ეს ფეხბურთელი ჯერ კიდევ ზამთარში ითხოვდა „ზესტაფონიდან“ წასვლას. სწორედ იმ პერიოდში დაიწყო კლუბში დარეკვა მისმა აგენტმა და როგორც დავამტკიცეთ, ის ფიფას ლიცენზირებული აგენტი არ ყოფილა. არალიცენზირებულ აგენტთან საქმის დაჭერისთვის კი ფეხბურთელიც ისჯება — მაქსიმალური ვადა 12-თვიანია.

— ზამთარშიც ამბობდა, რასისტულ შეურაცხყოფას მაყენებენ და მცემენო?

— მაშინ სხვა რამ თქვა: ევროპაში თამაში მინდა, ოჯახი იქ მყავს და უნდა წავიდეო. „ზესტაფონი“ მის გაყიდვას არ დათანხმდა. ზაფხულში კი კესანი წავიდა და აღარც დაბრუნებულა. კონტრაქტის დარღვევის გამო მისთვის ფინანსური ჯარიმის დაკისრებაც მოვითხოვეთ: წესია ასეთი. მან უნდა აანაზღაუროს „ზესტაფონის“ მიერ მასში დახარჯული თანხა — კვების, საცხოვრებლის, ბუცების, ფორმის ფული და ასე შემდეგ.

— ერთ-ერთ უცხოურ ვებგვერდზე ეწერა, „ზესტაფონი“ „ჰაპოელისგან“ 2 მილიონ დოლარს ითხოვს კესანის სანაცვლოდ. ამაზე რას იტყვით?

— ამის თაობაზე ინფორმაცია არ გამაჩნია.

**ილია ნანოგაშვილი**



# კარპატიმ, ასეთი აკირემი არ მინდაო

**თბილისის** „დინამოს“ გაბონელი ლეგიონერის, ჟორჟ აკირემის ასავალ-დასავალი კარგა ხანი უცნობი რომ იყო, გაირკვა — კლუბისგან დაუკითხავად ახალი გუნდის საძებნელად წასული ფეხბურთელი უკრაინულ „კარპატიში“ ვარჯიშობდა და ლვოველებთან კონტრაქტის გაფორმებასაც ლამობდა... ამ საქმიდან კი გაბონელს ჯერ არაფერი გამოსვლია და ვეჭვობთ, გამოუვიდეს კიდეც.

ჟორჟ აკირემი საქართველოდან ჯერ გაბონისკენ აიბარგა, ტრავმირებული იყო, თუმცა ეროვნულ ნაკრებში მაინც გამოიძახეს. ჩაიარა სანაკრებო შეხვედრებმა და აკირემის „დინამოსკენ“ აღარ გაუხედავს, ახალი კლუბის ძიებას შეუდგა, არადა, თბილისელებთან მას მოქმედი კონტრაქტი დღესაც აკავშირებს. ფეხბურთელის გაუჩინარების შემდეგ „დინამომ“ აღარ დააყოვნა და ეს ამბავი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შესაბამის სტრუქტურებსა და ფიფას აცნობა.

აკირემის საჯარიმო სანქციების თაობაზე ჯერ ახალი არაფერია, თუმცა კი, გავიგეთ, რომ ლვოვის „კარპატი“ ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ გარკვეულ თანხას იხდიდა, მაგრამ როცა უკრაინელებს შეუტყვიათ გაბონელის „დინამოდან“ უნებართვოდ წასვლის თაობაზე, ის კლუბიდან მაშინვე დაუთხოვიათ...

ვნახოთ, რა იქნება...

**ჭოგა ინასარიძე**

გუშინ სარბიელელებს უმძიმესი დღე გვქონდა... მეგობარი დავკარგეთ — ჩვენი გაზეთის ესპანური ფეხბურთის მიმომხილველი ლადო ხომერიკი გარდაიცვალა. ის სულ რაღაც 33 წლის იყო...

დიდხანს ავადმყოფობდა, დედის გარდაცვალების მერე კი თავს ისე ველარ უვლიდა...

რამდენიმე თვის წინ დაიჟინა, ავადმყოფობის გამო სამსახურში სისტემატურად სიარულს ვერ ვახერხებ და არ მინდა, ხელფასს ტყუილად ვიღებდე, უნდა წავიდეო. ბევრი ვეხვეწეთ, მაგრამ არ გადათქვა, თავმოყვარე ბიჭი იყო. „სარბიელის“ ბოლო გვერდზე თანამშრომელთა სიიდან პატივისცემის ნიშნად მისი გვარი არც ამოგვიშლია — ის მაინც ჩვენიანი იყო...

სოფელში წავიდა და ბოლო თვეები მშობლიურ სახლში გაატარა.

გუშინ კი... ეს საშინელი ამბავი შეგვატყობინეს...

*სარბიელელები*



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ახალგაზრდა ფეხბურთელი.
**ირაკლი მებონია**
და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

სარბიელელები მწუხარებით ვიუწყებით, რომ
გარდაიცვალა ჭიათურის „მაღაროელის“,
ზუგდიდის „ლაზიკას“ და წნორის „მილანის“
ყოფილი ფეხბურთელი
**ირაკლი მებონია**
და ვუსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატი საინტერესოდ დაიწყო, ფავორიტებად შერაცხული გუნდები ადრინდელივით ადვილად ველარ ილებენ ქულებს, ყველას დიდი ბრძოლის გადატანა უწევს. ამ 9 ტურში რამდენიმე მეგოლეც გამოიკვეთა — „ზესტაფონის“ ფორვარდმა ნიკა გელაშვილმა ბოლო ოთხ შეხვედრაში ოთხჯერ გაიტანა და ჩვენც მას გუშინ გავესაუბრეთ...



# გასეირნება დამთავრდა!

— სასიამოვნოა, რომ ნელ-ნელა ჩვეულ ფორმას ვიბრუნებ. ტრავმის შემდეგ ცოტა გამიჭირდა, მაგრამ ახლა ყველაფერი კარგადაა.

— „ზესტაფონს“ ამ ჩემპიონატში გოლების გატანა უჭირს, ბოლო ტურში ოდნავ გამოასწორეთ და „გაგრას“ 3:0 სძლიეთ...

— ერთ გოლზე მეტი ვერ გავგქონდა, თუმც ეს ფეხბურთში ხდება. „გაგრას“ სამჯერ გავუტანეთ და დარწმუნებული ვარ, რაც დრო გავა, გუნდი უკეთეს ფორმაში შევა.

— ალბათ, ბომბარდირობას უმიზნებ...

— უკვე ოთხი გოლი შევაგდე და ვნახოთ... რა თქმა უნდა, ბომბარდირობა ძალიან მინდა.

— გასულ სეზონთან შედარებით „ზესტაფონის“ შემადგენლობა სახეცვლილია. როგორ ფიქრობ, ამ გუნდით ჩემპიონობას შეძლებთ?

— დაკარგული ჯერ არაფერია, „ზესტაფონი“ დასახული მიზნის მისაღწევად ძალას არ დაიშურებს.

— კონკურენტებად ვის მიიჩნევ?

— „ლოკომოტივს“, „ვიტ ჯორჯიას“ და „დინამოს“. აქვე მინდა ვთქვა, რომ მე-20 ეროვნული ჩემპიონატი ძალიან საინტერესოდ მიდის, ყველა გუნდი ბოლომდე იბრძვის, ვერავისთან გაისეირნებ — ეს უკვე ყველა ფავორიტმა იწვნია თავის თავზე და ჩემპიონატიც მაგარი დაძაბული გახდა, რაც თავისთავად წაადგება ჩვენს ფეხბურთს.

— ალბათ, ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზეც ფიქრობ...

— ეს ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. მე ჩემსას ვეცდები და იმედი მაქვს, შანსი მომეცემა.

**ნუკრი ლოლაძე**

# გზა კვიპროსისკენ იტალიის გავლით



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მზადებას აგრძელებს. 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ზაურ სვანაძემ გუშინ საგურამოს ბაზაზე 22 ფეხბურთელი შეკრიბა. აი, ამ ფეხბურთელთა სიაც: მაკარიძე, ლოსაბერიძე, კოტრიკაძე, მინდორაშვილი, სარაჯიშვილი, კაკუბავა, გეთიაშვილი, გამრეკლიძე, კაჭკაჭიშვილი, ფუტკარაძე, ჯიშკარიანი, ნემსაძე, თარხნიშვილი, შონია, თექთუმანიძე, ხუციძე, ხოკერაშვილი, გურაბანიძე, ქანთარია, ქავთარაძე, ბეგლარიშვილი, იჩქითი. ნავარჯიშევს სვანაძეს გავესაუბრეთ...

— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები მალე გვექნება და ჩვენც დავიწყეთ ინტენსიური მზადება.

— სანამ შესარჩევი ეტაპი იქნება, უცხოურ შეკრებას ხომ არ გეგმავთ?

— 12 ნოემბერს იტალიაში, პიზაში, მივდივართ, სადაც ორი ამხანაგური მატჩი გვაქვს დაგეგმილი.

— ამ ფეხბურთელთა სიას შეემატება ვინმე?

— უახლოეს დღეებში ველოდებით „ანორთოსისში“ მოთამაშე რიგვავას. სალარიძე და შეყილაძე კი იტალიაში შემოგვიერთდებიან.

— იტალიაში რამდენი ფეხბურთელით ჩახვალთ?

— ეს სია გაიცხრილება და პიზაში 16 მოთამაშეს წავიყვანთ, ორიც იქ დაგვხვდება.

— კვიპროსზე როდის მიდიხართ?

— 19 ნოემბერს ჩავალთ, 22 ნოემბერს კი პირველი ოფიციალური მატჩიც გვექნება.

**ნუკრი ლოლაძე**

დავით მუჯირს მოსკოვის „ლოკომოტივში“ ვერა და ვერ ნაუვიდა თამაში, არადა, რკინიგზელებმა ჩვენიანი დიდი იმედებით იყიდეს „კრილიადან“. მხოლოდ ეს ბოლო ტურებია, „მუმუ“ ნელ-ნელა შეაჩვიეს თამაშს და წინა შეხვედრაში მოსკოვის „დინამოსთან“ ძირითადშიც დააყენეს — ეს პირველად მოხდა 27 ტურის განმავლობაში. მუჯირი სპეციფიკური ფეხბურთელია, ეს რუსებმაც კარგად იციან და, სხვათა შორის, „ლოკომოტივის“ მწვრთნელ რაშიდ რახიმოვს ქართველის იგნორირების გამო ბევრსაც აკრიტიკებენ. ახლა კი ინტერვიუ, რომელიც დავითს რუსმა ჟურნალისტმა ჩამოართვა...



# მე აქ სხვანაირი იმედით მოვდიოდი

— როგორ შეაფასებთ მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრას?

— სამწუხაროა, რომ წავაგეთ. ამით უეფას თასის ზონაში მოხვედრის შანსი თითქმის დავკარგეთ. მარცხს ნამდვილად არ ვიმსახურებდით. თუმცა „დინამოს“ გამარჯვებას ვულოცავ — ახლა მათ მესამე ადგილზე გასვლის მშვენიერი შანსი აქვთ. ბოლომდე ვეცადეთ, თავი არავის დაუზოგავს, მაგრამ ეს ფეხბურთია და ასეთი რამეები ხდება. ძნელია, კომენტარი გაუკეთო შეხვედრას, რომელშიც მარცხს არ იმსახურებდი. წინ კიდევ სამი თამაში გვაქვს და მაქსიმალურად უნდა დავიხარჯოთ, რათა დადებით შედეგს მივაღწიოთ.

— რა არ გეყოთ მოსაგებად?

— ძნელი სათქმელია... ბოლომდე ვიბრძოლეთ, მაგრამ... ჩვენ წინააღმდეგ ითამაშა კერკეტმა გუნდმა, რომელსაც ფრეც ჰყოფნიდა. ამით ისინი უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ. კარგად გვესმოდა, რომ შანსს მხოლოდ იმ შემთხვევაში შევინარჩუნებდით, თუ სამ ქულას ავიღებდით. „დინამოს“ შეეძლო, დაცვაში ჩამჯდარიყო და კონტრშეტევებზე ეთამაშა, ჩვენ კი მეტად უნდა გავხსნილიყავით. ისე მოხდა, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში, ერთ-ერთი კონტრშეტევისას გოლი გავუშვით და უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. სადღაც არ გაგვიმართლა კიდეც — ბევრი მომენტი შევქმენით და მარცხს არ ვიმსახურებდით.

— არ გეჩვენებათ, რომ „ლოკომოტივს“ პირველ ნომრად თამაში უჭირს?

— შესაძლოა, ასეც იყო. მაგრამ ვფიქრობ, რომ ცუდად მაინც არ გვითამაშია. ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა, აგრესიულად ვუტევდით... რაღაც მაინც არ გვეყო. ვიმედოვნებ, იღბალი დაგვიბრუნდება და გატანას ისევ დავიწყებთ. უეფას თასის ზონაში მოხვედრისთვის ბრძოლა დავასრულეთ და ყველაზე მეტად საწყენი სწორედ ესაა.

— გუნდს რა მოტივაცია დარჩა?

— ჩვენ პროფესიონალები ვართ. ღირსება გვაქვს და მას გაფრთხილება უნდა. ასე რომ, დარჩენილ ტურებში მოედანზე მოვალეობის მოხდის მიზნით გასვლა არ გამოგვივა. შევეცდებით, დარჩენილ სამ ტურში მაქსიმალური შედეგი ვაჩვენოთ. ამას მთელი გუნდის სახელით ვამბობ.

— „ლოკომოტივის“ ძირითად შემადგენლობაში პირველად გამოჩნდით...

— შეიძლება ითქვას, რომ პრემიერლიგაში „ლოკომოტივის“ ძირითად შემადგენლობაში ჩემი დებიუტი 27-ე ტურში შედგა. 26 ტური ველოდი შანსს. კითხვა, თუ რატომ არ ვთამაშობდი აქამდე, მე არ მეკუთვნის. ძნელია, შემადგენლობაში მოხვედრისთვის იბრძოლო, როდესაც სათამაშოდ მხოლოდ რამდენიმე წუთს გაძლევენ. მაგრამ ჩვენ პროფესიონალები ვართ, უნდა ვივარჯიშოთ, მოვინდომოთ და შანსს დაველოდოთ. ვერ ვიტყვი, რომ ცუდად ვითამაშე. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე გავატარე...

— როგორ ფიქრობთ, პიტერ ოდემვინგი დისკვალიფიცირებული რომ არ ყოფილიყო, თამაშის საშუალება მაინც მოგეცემოდათ?

— არ ვიცი. შესაძლოა, ძირითადში ჩემი გამოჩენა პიტერის დისკვალიფიკაციასთან კავშირშია, შესაძლოა, სხვა რამეს უკავშირდება. წინა შეხვედრაში მოედანზე მთელი ტაიმი გავატარე და ცუდად არც მაშინ მითამაშია. ამ კითხვით მაინც მთავარ მწვრთნელს უნდა მიმართოთ.

— იმედი გაქვთ, რომ „სპარტაკთანაც“ ძირითად შემადგენლობაში იქნებით?

— რა თქმა უნდა. მართალია, ოდემვინგის ამჯერად თამაში შეეძლება და ის გუნდისთვის დიდი ძალაა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მისი ყოფნის დროსაც არაერთი თამაში წავაგეთ. გუნდში ერთი ადამიანი არაფერს წყვეტს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, შეუცვლელი მოთამაშეები არ გვყავს — ჩვენ გუნდური თამაშით უნდა ვიყოთ ძლიერები. შესაძლოა, პიტერის დაბრუნების მიუხედავად, ძირითად შემადგენლობაში ადგილი ჩემთვისაც გამოინახოს. ამაზე მწვრთნელი იზრუნებს, ჩემი საქმე კი ვარჯიშია.

— არ გაგიჭირდათ მოედანზე 90 წუთის გატარება?

— ძალიან გამიჭირდა. რუსეთის ჩემპიონატში, მთელი 90 წუთი შარშან ნოემბერში „კრილია სოვეტოვის“ შემადგენლობაში ვითამაშე. სამწუხაროდ, „ლოკომოტივის“ სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ 27-ე ტურში მოვხვდი, არადა, სულ სხვა იმედები მქონდა. როდესაც აქ გადმოვედი, ვიმედოვნებდი, რომ მეტი სათამაშო დრო მომეცემოდა... არ დავნებდები, ბოლომდე ვიბრძოლებ და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას ვეცდები.

— ცოტა ხნის წინ ოდემვინგიმ განაცხადა, რომ „ლოკომოტივის“ ყველა მოთამაშე მებრძოლი არ არის. ამ გამონათქვამზე რა აზრის ხართ?

— ასეთი რამ მხოლოდ „ლოკომოტივში“ არ ხდება. ყველა ფეხბურთელი ერთნაირი არ არის — ზოგი კლასის ხარჯზე თამაშობს, ზოგი იბრძვის... არ შეიძლება, ყველა ფეხბურთელს გოლის გატანა მოსთხოვო. ყველას თავისი საქმე აქვს.

— თქვენი ამოცანა მომენტის შექმნაა?

— ალბათ. ამასთან ერთად, რაშიდ რახიმოვი შავი სამუშაოსგან არავის ათავისუფლებს. ამ საკითხში ის ძალიან მკაცრია.

— „ლოკომოტივისთვის“ სეზონი წარუმატებლად შეიძლება ჩაითვალოს?

— როდესაც „ლოკომოტივში“ გადმოვდიოდი, ვფიქრობდი, რომ სამეულისთვის ვიბრძოლებდით. სეზონი ჯერ არ დასრულებულა, სამი თამაში კიდევ დარჩა, მაგრამ, თუ კალენდარს შევხედავთ, ხუთეულში მოხვედრაც კი რთული ჩანს. ასე რომ, სეზონი წარუმატებლად უნდა ჩაითვალოს. „ლოკომოტივს“ სხვა ამოცანა აქვს — ის ყოველ წელს უნდა თამაშობდეს ევროპაში, მით უმეტეს, შემადგენლობა ამის საშუალებას იძლევა. სამწუხაროდ, ამ სეზონში არ გამოგვივიდა... იქნებ სასწაული მოხდეს, დარჩენილ სამ თამაშში 9 ქულა ავიღოთ, სხვებმა კი დაკარგონ...

# გოგუას მუხლმა სეზონი დაუმთავრა



**გოგიტა გოგუამ** მუხლის ტრავმა მიიღო და წლევანდელი რუსული პრემიერლიგა მისთვის დასრულებულია — ისედაც, მხოლოდ სამი ტურიღაა დარჩენილი.

ნალჩიკის „სპარტაკის" ნახევარმცველმა ვარჯიშზე იტკინა მუხლი და გუნდის ექიმებმა დატვირთვებისგან თავის შეკავება ურჩიეს.

გეცოდინებათ, გოგუამ ბოლო მატჩი ახალგაზრდულ გუნდში ჩაატარა, თუმცა მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა ეს ჩვეულებრივ ამბად ჩათვალა და კონფლიქტი გამორიცხა.

**ილია ნანობაშვილი**

# განძასარმა ქართულად მოიგო

**სომხეთის** ჩემპიონატის 26-ე ტურში „განძასარმა" შინ 3:0 მოუგო „პიუნიკს" და ქართველმა ლეგიონერებმა, გაგა თიბილაშვილმა და დავით ხანიშვილმა თითო-თითო გოლი გაიტანეს.

ანგარიში თიბილაშვილმა გახსნა — მე-7 წუთზე იხეირა, რასაც ხანიშვილმა 47-ე წუთზე მეორე გოლი მიაყოლა.

სომხეთის 8-გუნდა ჩემპიონატში „განძასარი" მესამე ადგილზეა.

**კახა ზალამბერიძე**

# ქარიშხალა მეთხუთმეტედ აშრიალდა



ტაოპრივატბანკი — იბერია 2003

**გუშინ** სპორტკომპლექს „ქარიშხალაში" საქართველოს ფუტსალის მე-15 ჩემპიონატი დაიწყო.

მონაწილე ხუთია: ახალგაზრდული ნაკრები, „ტაოპრივატბანკი", ქუთაისის „ჯუნგლები", „იბერია 2003" და მცხეთის „იბერია". ჩემპიონატი კი ოთხ წრედ ჩატარდება.

პირველი ტურის პირველ შეხვედრაში ახალგაზრდულმა ნაკრებმა მეტისმეტად მსუყე ანგარიშით, 20:0 დაამარცხა „იბერია".

ამ მატჩს გახსნის ცერემონიალი მოჰყვა, რის მერეც „იბერია 2003"-ის და ტაოელების შეხვედრა გაიმართა. იბერიელებმა 5:3 მოიგეს.

რაკი ჩემპიონატში მონაწილეთა რაოდენობა კენტია, პირველ ტურში „ჯუნგლები" ისვენებდა.

მეორე ტურის შეხვედრები 14 ნოემბერს ჩატარდება: ახალგაზრდული ნაკრები „ჯუნგლებს" შეხვდება, „ტაოპრივატბანკი" კი მცხეთის „იბერიას" დაუპირისპირდება.

**ლუკა თალაკვაძე**

# სკოლებმა რიგობით მოედანზეც გაითვალეს

**ზესტაფონის** რესურსცენტრის ინიციატივით ჩატარდა ტურნირი მინი-ფეხბურთში (მთავარი მსაჯი მალხაზ ლონდაძე).

რაიონის 24 საჯარო სკოლის გუნდი გადანაწილებული იქნა ექვს ჯგუფში, რომელთა გამარჯვებულებმა საუკეთესო ექვსეული შექმნეს და წრიული სისტემით გააგრძელეს თამაში.

ჩემპიონობა №1 საჯარო სკოლამ მოიპოვა (დირექტორი ვახტანგ მუმლაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ჯონდო ვაჭარაძე), მეორე ადგილი №2 საჯარო სკოლამ მოიპოვა (დირექტორი კახა კუპატაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ამირან ჭიჭინაძე), მესამე ადგილი კი №3 საჯარო სკოლას ერგო (დირექტორი თემურ ქურციკიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი გია გაჩეჩილაძე).

საუკეთესო მეკარედ იმედა ექსეულიძე დაასახელეს (№3 სკოლა), საუკეთესო ბომბარდირი დათო ხუჯაძე გახდა (№1 სკოლა), საუკეთესო ფეხბურთელი კი — ერეკლე ხაჩიძე (როდინოული სკოლა).

ჩემპიონი, პრიზიორები და საუკეთესო მოთამაშეები პრიზებით, სიგელებითა და ბურთებით დააჯილდოვა რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა გეწაძემ.

**ბეჟან ჩხეიძე ზესტაფონიდან**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა

11 ტური

### დასავლეთი

**მეშახტე 1:2 ხობი**

1:0 ავალიშვილი (83), 1:1 ფირცხელავა (10), 1:2 ალანია (15)

**მეშახტე:** თ. გიორგაძე, დონაძე, მ. ბოჭორიშვილი, ყურაშვილი, გ. ქობალია, ჭკუასელი, მაჩალაძე, გოგუა, გ. გვენეტაძე (ბ. გვეტაძე 54), ავალიშვილი, წერეთელი

*სათადარიგონი:* თორთლაძე, ლომთაძე, რ. კალანდაძე

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

**ხობი:** ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, ჯამბურია, ა. კვირკველია, ალანია (გრიგოლია 87), კ. გოგენია, ლეფსაია, ფირცხელავა, სართანია, გაგუა

*სათადარიგონი:* ჭურლულია, რ. ჩიტაია, ლატარია, ჩაჩიბაია, მ. შონია, ლ. თოდუა

მწვრთნელი: ლევან ნოდია

გაფრთხილება: გ. გოგენია, კ. გოგენია, ავალიშვილი

მსაჯი: ჯ. ბუიშვილი

200 მაყურებელი

**გურია 1:2 სამტრედია**

0:1 ცინცაძე (28ს.კ.), 1:1 ტ. კუკულაძე (79), 1:2 კვესეიშვილი (90)

**გურია:** მ. გოგუაძე, რ. კუკულაძე, ი. ცინცაძე, ქურიძე, გ. იმნაძე (ს. მოდებაძე 71), ტ. კუკულაძე, მ. კოტრიკაძე (ციკოლია 87), ხ. მგელაძე, ჯაყელი, ი. კილაძე, ს. ურუშაძე (ი. სულაბერიძე 76)

*სათადარიგონი:* ხურციძე, შეწირული

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

**სამტრედია:** ი. დ. შენგელია, გოგია, კვესეიშვილი, ლ. მახარაძე, სამსეიშვილი, ნინუა, ოქრუაშვილი (ეცადეიშვილი 74), ბაკურაძე, ჩომახიძე (სალდაძე 90), ადეიშვილი, მ. კაკალაძე

*სათადარიგონი:* კეკელიძე, სუნიაევი, გ. დარჯანია, ი. გ. შენგელია, მუკბანიანი

მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: სამსეიშვილი, ბაკურაძე, ჯაყელი, ოქრუაშვილი

მსაჯი: კ. ჭაჭუა

300 მაყურებელი

**ტორპედო 2008 2:0 ზესტაფონი 2**

1:0 ტიელიძე (17), 2:0 ბიბილაშვილი (54)

**ტორპედო 2008:** მიგინეიშვილი, გურული, ხარებავა, ბიბილაშვილი, ი. ჭანკვეტაძე, დანელია, ბესარაშვილი, გ. ტორაძე (ი. დარსაძე 29), კობერიძე (კოსტავა 80), ტიელიძე (ბ. ჩხეტიანი 60), იმედაძე

*სათადარიგონი:* კუჭუხიძე, ა. ქობალია, წიქორიძე, მეტონიძე

მწვრთნელი: კახა კარანაძე

**ზესტაფონი 2:** ძაძამია, სანტოსი, ბუკია, ზ. ლობჟანიძე, რ. ჩიხლაძე (კამლაძე 46), სტეფანიშვილი (კვირიკეიშვილი 70), გორგიაშვილი, ბერიძე (ლ. გაბრიჭიძე 54), სუხიაშვილი, კეჭაყმაძე, ბერუაშვილი

*სათადარიგონი:* დოგრაშვილი, ხიხაძე, ლ. ცხადაძე, გ. ჭანკვეტაძე

მწვრთნელი: გია ნადირაძე

გაფრთხილება: ძაძამია, ჩიხლაძე, ი. ჭანკვეტაძე

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

100 მაყურებელი

**ბათუმი 2:2 მერანი (მ)**

1:0 ტულუში (8), 2:0 ბალაძე (71), 2:1 ციცხვაია (77), 2:2 პაპადოპულოსი (86)

**ბათუმი:** თ. კაკალაძე, რამიშვილი, გოგიტაური, ფარტენაძე, გოგუაძე, გ. გოგიტიძე, ბ. მახარაძე, ი. ტულუში, დემურაძე (მ. აბაშიძე 57), მალაზონია (პ. ბალაძე 63), ლ. კალანდაძე (გორჯელაძე 78)

*სათადარიგონი:* ზაქარეიშვილი, ქადიძე, ვ. მჭედლიძე, თოთლაძე

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

**მერანი (მ):** კოდალაევი, დ. ჩხიკვაძე (ცაგარეიშვილი 74), ფარცვანია, ი. ვაშაკიძე, კვიტატიანი, პაპადოპულოსი, წოწორია (ენდელაძე 46), ლ. ტორაძე, ლ. ჩალაძე, დ. გოგოლაძე (ლ. კირკიტაძე 46), ციცხვაია

*სათადარიგონი:* არდაშელია, შეროზია

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: ტულუში, რამიშვილი, ფარტენაძე, ციცხვაია

მსაჯი: ო. ხეცაძე

300 მაყურებელი

**კოლხეთი 0:0 ბაია**

**კოლხეთი:** გ. შენგელია, ლუსტა, დ. ნარსია, ცხვიტარია, გელაჭეიშვილი, მ. ჩხარტიშვილი, აბურჯანია, გოგნაძე (ლემონჯავა 77), ციკოლია (გვალია 32), ბაკარანძე, ქანდაკაძე (გვიჩია 88)

*სათადარიგონი:* ჩემია, გეგელია, გ. სიჭინავა, მეგრელიშვილი

მწვრთნელი: ნუგზარ თვარაძე

**ბაია:** ივარდავა, ზ. ექონია, გ. პაჭკორია, გ. ჟვანია, ძალამიძე (ლ. ქანთარია 90), კუტალია (ქაშაკაშვილი 68), წურწუმია, რაფავა (ეხვაია 78), ვართაგავა, ქირია, სვირავა

*სათადარიგონი:* მაქაცარია, კვეკვესკირი, გუგუჩია, კაკუშაძე

მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი

გაფრთხილება: ლემონჯავა, ვართაგავა, ივარდავა

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

1000 მაყურებელი

**სატურნირო ვითარება პირველი წრის შემდეგ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაია | 10 | 7 | 2 | 1 | 18:4 | 23 |
| მერანი (მ) | 10 | 6 | 3 | 1 | 19:8 | 21 |
| კოლხეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 14:5 | 20 |
| სამტრედია | 10 | 6 | 1 | 3 | 18:8 | 19 |
| ჭიათურა | 10 | 5 | 1 | 4 | 17:11 | 16 |
| ხობი | 10 | 4 | 3 | 3 | 9:9 | 15 |
| ზესტაფონი 2 | 10 | 3 | 2 | 5 | 9:15 | 11 |
| ტორპედო 2008 | 10 | 3 | 1 | 6 | 5:7 | 10 |
| ბათუმი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:19 | 9 |
| გურია | 10 | 2 | 3 | 5 | 11:20 | 9 |
| მეშახტე | 10 | 0 | 1 | 9 | 6:27 | 1 |

**XII ტური**

9 ნოემბერი

კოლხეთი – სამტრედია

მეშახტე – ბაია

ბათუმი – ზესტაფონი 2

გურია – ჭიათურა

ტორპედო 2008 – ხობი

### აღმოსავლეთი

**დილა 1:1 ნორჩი დინამო**

0:1 ნეფარიძე (54), 1:1 ფაილოძე (90)

**დილა:** დგებუაძე, ცოცხალაშვილი, შარანგია, გ. თარგამაძე, გ. ჩიხრაძე (დაჩანიძე 88), სორდია, ჩერქეზიშვილი (ებანოიძე 60), ანდღულაძე, ი. თოდუა (ივანაშვილი 58), ფაილოძე, იჩქითი

*სათადარიგონი:* კეჩხუაშვილი, მინდიაშვილი, ბ. ქარდავა, სურმავა

მწვრთნელი: პაატა მეტრეველი

**ნორჩი დინამო:** გაბრიჩიძე, ა. კალაძე (ბ. მამარდაშვილი 46), ბ. ცინცაძე, ბოკუჩავა, ედიშერაშვილი, გურაბანიძე, ლაბარტყავა, ღვთისავრიშვილი, ნეფარიძე (კ. დევიძე 70), კაკულია (ბურჭულაძე 55), ი. ქავთარაძე

*სათადარიგო:* კიკალიშვილი

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

გაფრთხილება: ცინცაძე, გაბრიჩიძე, ნეფარიძე, თარგამაძე

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

150 მაყურებელი

**დინამო 2 0:0 ვიტ ჯორჯია 2**

**დინამო 2:** ლოსაბერიძე, კეკელია, კაჭკაჭიშვილი, გეთიაშვილი, გ. დარასელია (მინდორაშვილი 79), მამუჩიშვილი, ვ. ნემსაძე, ვ. ბოლქვაძე (ლეკვთაძე 60), კოპაძე, ი. სიხარულიძე, ნ. ჯიშკარიანი

*სათადარიგონი:* გ. ნადირაძე, გ. ჩიკვაიძე, ქამუშაძე, გ. ჯოხაძე, კაკუბავა

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

**ვიტ ჯორჯია 2:** ა. მიქაბერიძე, გოგიაშვილი, ადამაძე, კასრაძე, გამრეკელიძე, ვეკუა, ვასაძე, დ. მაისაშვილი, ი. სვანიძე (ლვინიაშვილი 70), დვალიშვილი, იოსელიანი (ზაქრაძე 46)

*სათადარიგონი:* გ. იაშვილი, ლურბელეიშვილი, კახაძე, ცხოვრებაძე, რუხაია

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილება: ვასაძე, მაისაშვილი, დვალაშვილი, დარასელია, ჯიშკარიანი

მსაჯი: გ. დოგრაშვილი

100 მაყურებელი

**სიონი 2 1:0 ამერი**

1:0 გიორბელიძე (87)

**სიონი 2:** გაგაშელი, ხოშაშვილი, ნაფოფია, გ. ოქროპირიძე, ლ. ჩხეტიანი, ქურასბედიანი, ბუბუტეიშვილი, მ. ოქროპირიძე, ალფაიძე (მ. ჭაველაშვილი 89), გიგინეიშვილი (გიორბელიძე 78), შ. გაბრიჭიძე

*სათადარიგონი:* გურგენიძე, ბ. ჭაველაშვილი, უგულავა, რეხვიაშვილი, ყიფშიძე

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, ფუტკარაძე, გვაძაბია, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, ბენდელიანი, ცხოვრებაშვილი (ნ. ქებაძე 46; ბუმბეიშვილი 80), ტიკურიშვილი, ჩიმაკაძე

*სათადარიგონი:* გვენცაძე, ჯ. ჯოხაძე, გ. ხელაძე

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ჩხეტიანი, ბენდელიანი, ქურასბედიანი, გავაშელი

მსაჯი: ლ. სილაგავა

200 მაყურებელი

**ჩიხურა 1:0 ჰერეთი**

1:0 კობახიძე (50)

**ჩიხურა:** დოლაძე, ზივზივაძე, მგალობლიშვილი, ბარაბაძე, ი. ტყებუჩავა, დოლონაძე (ზ. ნოზაძე 37), ი. ზაბახიძე, ლ. ჩიკვაიძე, ბ. პეტრიაშვილი (ნ. მაჭარაშვილი 63), გულიაშვილი (ჭილაძე 90), ლ. კობახიძე

*სათადარიგონი:* მწყერაშვლი, ხვედელიძე, როგავა, ცარციძე

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

**ჰერეთი:** ბილიხოძე, ხარაიშვილი, გ. ლომიძე, გ. მაჭარაშვილი, შ. ფარულავა, თანდაშვილი, შ. ლობჟანიძე (ზ. ფოფხაძე 8), კუპრაშვილი, წვერავა, თოფურია, ვარამიშვილი (გვარაძე 72)

*სათადარიგონი:* უ. გოგოლაძე, ყორღანაშვილი, თაბუკაშვილი

მწვრთნელი: ზურაბ ფოფხაძე

გაფრთხილება: გ. მაჭარაშვილი, გ. მაჭარაშვილი, ნოზაძე

გაძევება: გ. მაჭარაშვილი (82)

მსაჯი: პ. დოგრაშვილი

100 მაყურებელი

**კახეთი 1:1 თბილისი**

1:0 ტეტიაშვილი (37), 1:1 ზვიადაძე (67)

**კახეთი:** ქუფარაშვილი, მ. ხიდეშელი, ხუმარაშვილი, მურველაშვილი, ლ. აბდულაევი, ლ. ტეტიაშვილი, მელიქიშვილი, ი. კობაიძე, გენგაშვილი, იმერლიშვილი, ძამუკაშვილი

*სათადარიგონი:* ბ. მჭედლიშვილი, ხამხაძე, ი. ხუციშვილი, ო. აბდულაევი, ახალბედაშვილი, დეკანოზიშვილი

მწვრთნელი: გივი კობაიძე

**თბილისი:** გიორგობიანი, ქაფოძე, გ. ოდიშარია (აფხაზავა 51), დ. ამისულაშვილი, ბელქანია, სარაჯიშვილი, გ. გურეშიძე, ი. მოდებაძე, ზვიადაძე, სებისკვერაძე, ჯაში

*სათადარიგონი:* ნარეშელი, სულუხია

მწვრთნელი: გელა გომელაური

გაფრთხილება: ამისულაშვილი, ქაფოძე, მურველაშვილი

მსაჯი: გ. ვადაჭკორია

100 მაყურებელი

**სატურნირო ვითარება პირველი წრის შემდეგ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 10 | 7 | 2 | 1 | 22:7 | 23 |
| ამერი | 10 | 6 | 2 | 2 | 16:7 | 20 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 10 | 5 | 5 | 0 | 18:3 | 20 |
| დინამო 2 | 10 | 5 | 3 | 2 | 14:8 | 18 |
| დილა | 10 | 4 | 4 | 2 | 15:8 | 16 |
| სიონი 2 | 10 | 3 | 3 | 4 | 15:27 | 12 |
| თბილისი | 10 | 3 | 2 | 5 | 14:17 | 11 |
| გაგრა 2 | 10 | 2 | 2 | 6 | 13:22 | 8 |
| კახეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 6:17 | 8 |
| ნორჩი დინამო | 10 | 1 | 4 | 5 | 12:18 | 7 |
| ჰერეთი | 10 | 1 | 3 | 6 | 7:18 | 6 |

**XII ტური**

7 ნოემბერი

კახეთი – ამერი

9 ნოემბერი

სიონი 2 – გაგრა 2

დილა – თბილისი

დინამო 2 – ნორჩი დინამო

ჩიხურა – ვიტ ჯორჯია 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფას თასი 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. II ტური

**I ჯგუფი**

რასინგი — შალკე
სიტი — ტვენტე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ტვენტე | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სიტი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| რასინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| პსჟ | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

**II ჯგუფი**

ბენფიკა — გალათასარაი
მეტალისტი — ჰერტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბენფიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჰერტა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მეტალისტი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ოლიმპიაკოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

**III ჯგუფი**

შტუტგარტი — პარტიზანი
სტანდარდი — სევილია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სამპდორია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სტანდარდი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| პარტიზანი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| შტუტგარტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

**IV ჯგუფი**

ტოტენჰემი — დინამო ზ
სპარტაკი — უდინეზე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უდინეზე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| დინამო (ზ) | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| სპარტაკი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ნაიმეგენი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ტოტენჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

**V ჯგუფი**

მილანი — ბრაგა
ვოლფსბურგი — ჰერენვენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაგა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ვოლფსბურგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ჰერენვენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| პორტსმუთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

**VI ჯგუფი**

აიაქსი — ჟილინა
სლავია — ასტონ ვილა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ასტონ ვილა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| აიაქსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჟილინა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

**VII ჯგუფი**

სენტ-ეტიენი — რუსენბორგი
ვალენსია — კოპენჰაგენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ-ეტიენი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ბრიუგე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| რუსენბორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ვალენსია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| კოპენჰაგენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

**VIII ჯგუფი**

ფეიენოორდი — ცსკა
ლეხი — ნანსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ცსკა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ლეხი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ფეიენოორდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| დეპორტივო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |



## პორნოგოლები

**უეფას** თასის მეორე ტურის „სპარტაკის“ და „უდინეზეს“ მატჩს ერთ-ერთი იტალიური პორნოარხი აჩვენებს.

საქმე ისაა, რომ 36 წლის საქმოსანმა მარკო კრისპინომ, რომელიც პორნოფილმების პროდიუსერია, შარშან იტალიური კლუბების რამდენიმე საევროთასო მატჩის ტრანსლირების უფლება იყიდა.

მაგალითად, „ბენფიკა“ — „ნაპოლის“ ჩვენების უფლება კრისპინოს არხმა შეიძინა და ბიზნესმენი ამ მატჩით, დაახლოებით, მილიონ ევროს მოიგებს. გარდა ამისა, ამავე არხით 27 ნოემბერს „პორტსმუთი“ — „მილანის“ შეხვედრებს გადასცემენ.

„უდინეზესა“ და „მილანის“ ქომაგებს, რომლებსაც დეკორები აქვთ, ამ თამაშების ნახვა ერთჯერადი ბარათების შეძენით შეუძლიათ.

„ბენფიკა“ — „ნაპოლის“ მატჩის ფასი 2 ევრო იყო.

პრემიერლიგაში მოყოჩაღებული „ტოტენჰემი“ ზაგრების „დინამოს“ უმასპინძლებს და ჰარი რედნაპი სადებიუტო ევრომატჩში გამარჯვებას შეეცდება. „ტოტენჰემის“ ხორვატი ნახევარმცველი ლუკა მოდრიჩი ყოფილ გუნდს შეხვდება.

ორშაბათს „ნიუკასლთან“ დამარცხებული „ასტონ ვილა“ პრაღაში „სლავიას“ ესტუმრება, ხოლო „სიტი“, რომელიც პირველ ტურში ისვენებდა, სტივ მაკლარენის „ტვენტეს“ დაუხვდება.

**ვაჟა ხუციშვილი**



## ლაჩრები და უხერხემლოები

**აღელვებულმა** არსენ ვენგერმა „სტოკის“ ხალხს სულ მხდალები ეძახა და ზედაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გასაგონად დაამატა, სულ არ მადარდებს, ამ გამონათქვამებისთვის დამსჯიან თუ არაო — გეხსომებათ, რომ გასულ შაბათს „არსენალმა“ „სტოკთან“ ყველასთვის მოულოდნელად 1:2 წააგო.

კერძოდ, რა პრეტენზია ჰქონდა ლონდონელთა ფრანგ მწვრთნელს? პრეტენზია რამდენიმე გახლდათ. მაგალითად ის, რომ რორი დელაპმა თეო უოლკოტი დაასახიჩრა და ინგლისური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი საკაცით გახდა გასაყვანი. კიდევ ის, რომ რაიან შოუკროსს ემანუელ ადებაიორის დაშავება სურდა, ენდი გრიფინს კი ბაქარი სანიაზე ჰქონდა ნადირობა გამოცხადებული.

ვენგერი „სტოკის“ მეკარეს, თომას სიორენსენსაც გაუბრაზებია. გოლკიპერმა ეს სიტყვით შეძლო. მან „მეთოფეებს“ უხერხემლოები უწოდა.

არსენ ვენგერი: „როგორ ფიქრობთ, იმ ეპიზოდში, როდესაც თეო უოლკოტს დაეჯახა, დელაპი ბურთზე თამაშობდა? ან, ადებაიორზე ლაშქრობისას შოუკროსს ჩვენი მოთამაშის მწყობრიდან გამოყვანა არ ჰქონდა მიზნად დასახული? სანიას კოჭიც აშკარად მიზანში გახლდათ ამოღებული. ამ ფეხბურთელებზე სრულიად მიზანმიმართული ნადირობა მიდიოდა. ჩემი ღრმა რწმენით კი, ის, ვინც მოწინააღმდეგეს თავს ზურგსუკნიდან ესხმის, ვაჟკაცი კი არა, ლაჩარია.

და კიდევ ერთი: გამაგებინეთ, რატომ უნდა დამსაჯოს ამ გამონათქვამისთვის ფეხბურთის ასოციაციამ? მე ჩემს შეხედულებას გამოვთქვამ და სულ ეს არის“.

„არსენალის“ თავკაცის კომენტარზე „სტოკის“ თავმჯდომარემ, პიტერ კოტისმა ხელები გაასავსავა: „გაოცებული და განაწყენებული ვარ. მე და ვენგერმა აშკარად სხვადასხვა თამაშს ვუყურეთ. დელაპი უოლკოტს შეეხო, მაგრამ იმის თქმა, რომ მან ეს განზრახ გააკეთა, სასაცილოა. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ვინმეს დაშავება მიზნად არავის ჰქონია და ასეთი განზრახვების თაობაზე მსაჯის ოქმში ერთი სიტყვაც არ წერია“.

„სტოკის“ მცველი ენდი უილკინსონი: „ლონდონელები, როგორც ჩანს, თავს იმართლებენ. ჩვენთან სათამაშოდ ჩამოსვლა არავის უყვარს და თუ „არსენალმა“ აქ სტუმრობასა და ჩვენს სტილთან გამკლავებას თავი ვერ გაართვა, ეს მისი პრობლემაა“.

**პაპუნა ქედია**

## ისევ ბარტონი?

**„ასტონ ვილამ“** ტელეჩანაწერი წინ და უკან დაატრიალა. ბირმინგემელებს უნდოდათ, დარწმუნებულიყვნენ, მართლა შეურაცხყო თუ არა ნიუკასლელმა ჯო ბარტონმა ( ღმერთო, დიდებულო, ისევ ის ჯო ბარტონი) გებრიელ აგბონლაჰორი რასისტულად. „ვილამ“, რომელმაც ტინისაიდში 0:2 წააგო, DVD-ტელეკომპანია „სეტანტა სპორტს“ სთხოვა — ამბობდნენ, კინკლაობისას, ბარტონმა ბირმინგემული კლუბის ფორვარდს რაღაც ცუდი უთხრაო.

და როგორ მოიქცა მსაჯი სტივ ბენეტი? მას არაფერი შეუმჩნევია და, შესაბამისად, ოქმში არც არაფერი ჩაუწერია.

რა ხარისხის გამოძიება წავა და რა კუდი მოებმება ამ ისტორიას, ძალიან იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რას გადაწყვეტს თავად აგბონლაჰორი. „ვილამ“ ისიც კარგად უწყის, რომ თუ რასიზმის პირდაპირ მტკიცებულებას ვერ მოიძიებს, მაშინ, შესაძლოა, ყველაფერი მის წინააღმდეგ მოტრიალდეს და საკმაოდ მკაცრადაც. მაგრამ, თუ მოიძიებს? მაშინ, ვაი, თქვენს ბარტონს, რომელმაც ლივერპულის „მაკდონალდსში“ თინეიჯერის ცემისთვის ექვსთვიანი პატიმრობა („სარბიელის“ მკითხველთათვის ნაცნობ ამ ისტორიას თავიდან ნუღარ გაგვამეორებინებთ) ახლახან მოიხადა, მანამდე კი, „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელობისას, ვარჯიშზე თანაგუნდელი უსმან დაბო ჩაწიხლა.

ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანი: „ხმები, თითქოს ბარტონმა აგბონლაჰორს რასისტული შეურაცხყოფა მიაყენა, ყველას მოგვივიდა. ამ საკითხთან დაკავშირებით აქეთ-იქიდან დაგვირეკეს კიდეც, მაგრამ მკაცრი რეაგირებისთვის „ასტონ ვილასგან“ უტყუარი მტკიცებულება გვჭირდება. თუ ასეთს მივიღებთ, მაშინ დამნაშავეს სასტიკად დავსჯით“.

„დეილი მეილის“ ჟურნალისტებმა „ნიუკასლ იუნაიტედისგან“ რაიმე კომენტარის მიღება სცადეს, მაგრამ „კაჭკაჭთა“ წარმომადგენლებმა ამ თემაზე საუბრისგან თავი შეიკავეს.

„ასტონ ვილასთან“ შეხვედრაში ობაფემი მარტინსის მიერ მეორე ტაიმში გატანილი ორი გოლის წყალობით, „ნიუკასლ იუნაიტედმა“ გაიმარჯვა და პრემიერლიგის ცხრილის ფსკერსაც აცილდა. დროებითი მწვრთნელის, ჯო კინეარის ხელმძღვანელობით, „კაჭკაჭებმა“ ერთ კვირაში მშობლიურ „სენტ ჯეიმს პარკზე“ უკვე მეორე გამარჯვება მოიპოვეს.

ხოლო ეპიზოდს, რომელმაც ხსენებულ მატჩში კინკლაობა გამოიწვია, თავად ბარტონი ასე იგონებს: „მეგონა, ჩემს წინააღმდეგ დაჯარიმდნენ და ბურთს ამიტომ ვეცი. თამაშის შემდეგ მე და აგბონლაჰორმა ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, ხალხს კი ბუზისგან სპილოს შექმნა სჩვევია. დღეს, როდესაც თამაშს მსაჯი, ორი თანამსაჯი და მეოთხე არბიტრი ემსახურებიან, გარშემო კი ტელეკამერებია, ადამიანი ზედმეტად ხელს ვერ აღმართავ და ცხადია, ეს მეც არ მიქნია“.

კომენტარი სთხოვეს აგბონლაჰორის აგენტს, ტიმ ვებსაც. მან თქვა: „მე გაბისთან არ მილაპარაკია. „ვილას“ დაძაბული დღეების შემდეგ ის ისვენებდა და ტელეფონიც გამორთული ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, „ვილა“ საკითხს კარგად შეისწავლის“.

**პაპუნა ქედია**





მაია ჯიჯავა
რომიდან

# ვარსკვლავობიდან
# NON VENI! NON VIDI! NON VICI!

**იტალიური ფეხბურთი დილემამ მოიცვა: რა სჭირს „რომას“? ეს არის ყველაზე აქტუალური კითხვა დღესდღეობით საფეხბურთო აპენინებზე. დედაქალაქის სიამაყე „ჯალოროსის“ მძიმე პერიოდი უდგას, სეზონის დასაწყისში გაჩენილი შიში „რომას“ შესაძლო კრიზისის თაობაზე გამართლდა. მართალია, გუშინწინ რომაელებმა ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსი“ დაამარცხეს, მაგრამ იქამდე...**




რომაულმა ქომაგებმა ამ ტრანსპარანტებს სახელდახელოდ NON მიაწერეს

დედაქალაქური კლუბი სერია A-ში 7 ქულით 17-ე ადგილზეა და უკვე ერთი თვეა, ერთი მატჩიც კი არ მოუგია.

**5 ოქტომბერი**
**სიენა 0:1 რომა**
**19 ოქტომბერი**
**რომა 0:4 ინტერი**
**26 ოქტომბერი**
**უდინეზე 3:1 რომა**
**1 ნოემბერი**
**იუვენტუსი 2:0 რომა**

სიტუაცია მართლაც რომ დრამატულია. როგორც ვთქვით, ჩემპიონთა ლიგაში გუნდმა მდგომარეობა კი გამოისწორა და ეს იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ევროპის ყველაზე პრესტიჟული თასის ფინალი, გაზაფხულზე სწორედ რომში უნდა გაიმართოს. რა თქმა უნდა, რომაელთა ოცნება ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ოლიმპიკოზე“ გამარჯვებაა. ჩემპიონატში კი, თუ ასე გააგრძელეს, ადგილი, სადაც თავს ამოყოფენ, სერია B იქნება...

აპენინებზე ყველაზე ერთგულ გულშემატკივრებად შერაცხულმა „რომას“ ტიფოზებმა ბოლო ერთ კვირაში სტილს უღალატეს და გუნდს დაუპირისპირდნენ.

ყველაფერი „უდინეზესთან“ მარცხით დაიწყო. მაშინ როდესაც იტალიური პრესა მკაცრად აკრიტიკებდა „რომას“ და ლუჩანო სპალეტის, ყველას გასაკვირად, დედაქალაქური გუნდის გულშემატკივრები სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ და მოთმინებით ქომაგობდნენ გუნდს. მეტიც, იქამდე მათ ერთი აუგიც კი არ დასცდენიათ ფეხბურთელების და მწვრთნელის მიმართ, თუმცა 26 ოქტომბერს უდინეში სამარცხვინო წაგების შემდეგ მათი მოთმინების ფიალაც აივსო და რომში აქამდე არნახული საპროტესტო ტალღა აგორდა.

ტიფოზები 27 ოქტომბერს „რომას“ ბაზაზე შეიკრიბნენ და ყველასთვის მოულოდნელად ტრიგორიაში ცხვრის ფარა მირეკეს, ცხვრებს ზურგზე „რომას“ ფეხბურთელების პლაკატები ქონდათ დამაგრებული. ფარას წინ ვაცი მიუძღვოდა, რომელსაც ლუჩანო სპალეტის პორტრეტი ჰქონდა მიმაგრებული. გულშემატკივრები კი განწირულად გაჰყვიროდნენ: „აი, ეს არის ჩვენი გუნდი, ცხვრებივით თამაშობთ, გრცხვენოდეთ!!!“ და „დალე სტელე ალა სტალა!“ (ვარსკვლავობიდან ბოსლამდე)

ტიფოზების ამ აქციას გალავანს იქით მყოფი ფეხბურთელები გაოგნებულნი გაუნძრევლად უყურებდნენ. გაოცებას ვერ ფარავდნენ ვერც ტრიგორიას დაცვის სამსახურის წევრები. ერთ-ერთმა მათგანმა იქვე მდგომ ჟურნალისტებს გაგვიმხილა, ამდენი წელია, ტრიგორიაში მცველად ვმუშაობ და მსგავსი მანიფესტაციის მნახველი არ ვარო...

ერთადერთი, ვინც ამ ყველაფრის შემხედვარე გულიანად იხალისა, იქ მისული კარაბინიერები იყვნენ, რომლებმაც ტიფოზების დაშოშმინების ნაცვლად ახალ „რომას“ — ცხვრის ფარას, მობილური ტელეფონით ვიდეოს გადაღება დაუწყეს.

საბოლოოდ, იმ საღამოს ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და რამდენიმესაათიანი პროტესტის შემდეგ, გულშემატკივარი — ცხვრებთან ერთად — იმ იმედით დაიშალნენ, რომ მათი საყვარელი გუნდი კრიზისს დაძლევდა და ეს საშინელი პერიოდი სამუდამოდ წარსულს ჩაბარდებოდა.

29 ოქტომბერს „სამპდორიასთან“ ცუდი ამინდის გამო თამაშის გადადება, რომაელებისთვის თითქოს, მისწრება იყო, საშუალება მიეცათ, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე მშვიდად და ნაყოფიერად მომზადებულიყვნენ „იუვესთან“ გასვლითი შეხვედრისთვის. „ბიანკონერის“ თავკაცი კლაუდიო რანიერი კი მატჩამდე ირწმუნებოდა, „რომას“ კრიზისის არ მჯერა და ამ შეხვედრისთვის განსაკუთრებულად ვემზადებითო...

9 ტურში 6 მარცხის და 1 ფრის მიუხედავად, როგორც ჩანს, რანიერის მსგავსად „რომას“ კრიზისის დაჯერება არც არავის სურდა, თუმცა ტურინში კიდევ ერთი წაგებული შეხვედრის და მინდორზე უსუსური, დაბნეული „რომას“ შემხედვარე, საფეხბურთო იტალიამ რეალობას თვალი საბოლოოდ გაუსწორა და ყველა იმაზე ალაპარაკდა, რა არის საჭირო, დედაქალაქურ გუნდში კრიზისის დასაძლევადო.

ჟურნალისტების აზრით, სპალეტის სავარაუდოდ, „რომას“ ყოფილი თავკაცი, გამოცდილი, კარლო მაცონე შეცვლიდა.

ეს თეორია თავად მაცონეს მხრიდან მყისვე უარყოფილი იქნა: „ამ კლუბთან უდიდესი სიყვარული მაკავშირებს, თუმცა ასეთ მძიმე დროს ჩემს დაბრუნებაზე ლაპარაკი მიზანშეუწონელია. სპალეტი დიდი მწვრთნელია, რომელმაც წინა სეზონებში არაჩვეულებრივი მატჩები გვაჩუქა. მისი გაკრიტიკება სწორი არ არის. ყველა დიდ გუნდს ადრე თუ გვიან აქვს კრიზისული მომენტი, ასეთ დროს კი მხოლოდ ერთიანი ძალებით შეიძლება სირთულეების დაძლევა. ასე რომ, უმჯობესია, ლუჩანოსი ვირწმუნოთ, მხარში დავუდგეთ და გავამხნევოთ.“

„იუვესთან“ მარცხი ტიფოზებისთვის დიდი დარტყმა აღმოჩნდა, ტურინში ალექს დელ პიეროს გოლის შემდეგ, „როსოჯალის“ გულშემატკივრებმა ექსპრომტად სტადიონზევე ახალი ტრანსპარანტი გააკეთეს, ცნობილი რომაული გამონათქვამით, რომელიც თავისებურად გადააკეთეს: NON VENI! NON VIDI! NON VICI!

რომში დარჩენილი გახელებული გულშემატკივარი, საკუთარ გუნდს იმავე საღამოს დედაქალაქის აეროპორტში დახვდა. კლუბი ფუმიჩინოს საერთაშორისო აეროპორტში დაახლოებით ღამის 2 საათზე ჩამოვიდა. გაბრაზებული ქომაგები ფეხბურთელებს აგრესიულად დახვდნენ: „გრცხვენოდეთ“, „წადით, იმუშავეთ“ — რას აღარ უყვიროდნენ. ფეხბურთელებმა იქაურობა თავჩაღუნულებმა, უხმოდ დატოვეს, ავტობუსში ავიდნენ და გუნდის ბაზისკენ აიღეს გეზი.

აეროპორტში „მისალმება“ მხოლოდ დასაწყისი იყო, „რომას“ ტრიგორიაში ათასობით სხვა გულშემატკივარი ელოდა...

ფეხბურთელების გამოჩენისთანავე გულშემატკივრებმა ავტობუსს აბსოლუტურად ყველაფერი ესროლეს რაც ხელში მოხვდათ: ხურდა ფული, კვერცხები, ბანანის ქერქი... იქაურობა კი გამაყრუებელმა ყვირილმა მოიცვა: წადით იმუშავეთ!, გამყიდველებო გრცხვენოდეთ!, როზელა სენსი! (ტლიკინის მეტი არაფერი შეგიძლიათ!)

ენით აღუწერელია ის დაძაბულობა, რაც იმ დროს ტრიგორიაში სუფევდა. ბაზის კარიბჭე ძლივს გაიღო და ავტობუსი, როგორც იქნა, ეზოში შევიდა. თუმცა ტიფოზები დაშოშმინებას არ აპირებდნენ, ისინი იქ მთელი ღამე დარჩნენ და ერთი წუთითაც არ გაჩუმებულან. მთელი ღამე ისმოდა მათი ყვირილი და ასობით მანქანის სიგნალის ხმა.

მეორე დილას ტრიგორიაში მისულს ანალოგიური სიტუაცია დამხვდა, ქომაგებს ბაზიდან ფეხი არ მოუცვლიათ. მათმა ნაწილმა ტრიგორიას კარიბჭეზე უშველებელი აბრა დაკიდა წარწერით: „ვყიდით „რომას“, ხურდაში ვაყოლებთ ლუჩანო სპალეტის და როზელა სენსის, უფასოდ გჩუქნით ტოტის!“

ტრიგორიაში დაგეგმილი პრესკონფერენციის დაწყებამდე გადავწყვიტე, რამდენიმე ტიფოზს გამოველაპარაკებოდი და „სარბიელის“ მკითხველისთვის პირადად მათი მონათხრობი გადმომეცა:

**— რატომ დაუპირისპირდით „რომას“?**

ანდრეა დაგოსტინო: „რომა“ ჩვენი ცხოვრების აზრია, ჩვენი გუნდია და არავის მივცემთ უფლებას, გაანადგუროს ის, რაც წლების მანძილზე იქმნებოდა. მსოფლიოში ყველაზე მომთმენი და ერთგული ტიფოზები ვართ და უსამართლოა ჩვენი რწმენის ღალატი. ქომაგთა უმეტესობა საჭმელს იკლებს სტადიონზე რომ მივიდეს გუნდის საგულშემატკივროდ და რას ღებულობს სამაგიეროდ?! სამარცხვინო წაგებას და მეტს არაფერს. კმარა!

**— თქვენი აზრით, ვისი ბრალია ეს კრიზისი?**




ლუჩანო სპალეტი



დანიელე დე.როსი



# ბოსლამდე ტოტი — დონალდი

მარჩელო გვერიერო: მთავარი დამნაშავე ფრანჩესკო ტოტია. მას მინდორზე ფეხის შედგმაც კი ეშინია და არა იმიტომ, რომ ტრავმა აწუხებს, უბრალოდ სულ ფეხებზე კიდია გუნდის წარმატება. სუფთა „დონალდ დაკი“ გახდა, ფულის მეტი არაფერი აღარდებს. „სინიორ დონალდს“ ერთი რამე ავიწყდება — ფული და პოპულარობა ჩვენი, გულშემატკივრების წყალობით მოიპოვა და თუ მოვინდომეთ, ცაში როგორც ავიყვანეთ, მიწაზეც ისევე დავანარცხებთ.

ტიფოზებთან საუბრისას, მოულოდნელად ტრიგორიას შესასვლელთან ჩოჩქოლი ატყდა, ყველანი იქით შევტრიალდით, ჭიშკარი გაიღო და ჩვენს წინ დანიელე დე როსი გამოჩნდა. მარტო იყო.

ფეხბურთელის ეს საქციელი იმდენად მოულოდნენლი იყო, რომ ტიფოზები დაიბნენ. რამდენიმე წუთაიანი უხერხული სიჩუმის შემდეგ დე როსიმ ხალხს მიმართა: „ჩემო უძვირფასესო გულშემატკივრებო, უპირველესად მინდა მთელი გუნდის სახელით დიდი ბოდიში მოგიხადოთ... ყალბი სიტყვები არ გეგონოთ. ვიცი, ძალიან რთულია თქვენთვის, მაგრამ ჩვენც ძალიან გვიჭირს. ყველანი დამნაშავენი ვართ. ჩვენი კრიზისი უფრო ფსიქოლოგიურია, თუმცა არ გეგონოთ, ამით თავის გამართლებას ვცდილობდეთ. ვერ მოგატყუებთ, ჩემო ძვირფასებო, არ ვიცი როგორ დავძლევთ ამ პრობლემას, მაგრამ გპირდებით, რომ თქვენთვის, ჩვენთვის, სპალეტისთვის და რაც მთავარია, „რომასთვის“, ბოლომდე ვიბრძოლებთ და გამოვალთ ამ კრიზისიდან. ძალიან გთხოვთ, არ მიგვატოვოთ! ჩვენ თქვენი მხარში დგომა ძალიან გვჭირდება. გავერთიანდეთ ყველანი. მოდით სტადიონზე „ჩელსისთან“ მატჩზე, კიდევ ერთხელ ირწმუნეთ ჩვენი. ახლა კი ყველას, ვისაც გსურთ, პრესკონფერენციაზე გეპატიჟებით“.

„ჯალოროსის“ ნახევარმცველმა სიტყვა დაასრულა, ტიფოზები გაუნძრევლად იდგნენ, მოულოდნელად იქაურობა ტაშის ხმამ დაფარა. საოცრებაა, მაგრამ ფაქტია: ათასობით ქომაგი, იქამდე რომ ილანძღებოდნენ, დე როსის სიტყვებმა აღაფრთოვანა. აპლოდისმენტები ათიოდე წუთი გაგრძელდა, რის შემდეგაც ჟურნალისტები და ქომაგთა ნაწილი ბაზაზე შევედით და პრესკონფერენციას დავესწარით.

ლუჩანო სპალეტი დარბაზში ოდნავ ნაღვლიანი შემოვიდა:

„უპირველესად მინდა გითხრათ, რომ მე არ მეშინია პრობლემების. შიში ყველაზე საშინელი რამ არის, რაც კი შეიძლებმა მწვრთნელმა ჩაუნერგოს ფეხბურთელებს. და მე აქ ყველას თანდასწრებით ხმამაღლა ვაცხადებ, რომ არ მეშინია წინააღმდეგობების და არც ჩემს ბიჭებს უნდა ეშინოდეთ.

ჩვენი კრიზისი უფრო ფსიქოლოგიურია ვიდრე ფიზიკური. ფეხბურთელებს შორის ბრწყინვალე დამოკიდებულებაა და ურთიერთგაგების პრობლემაც არ გვაქვს. ახლა ტაქტიკური ცვლილებების განხორციელებას არ ვაპირებ, რადგან ეს კიდევ უფრო დააბნევს ბიჭებს. მე მათთან ფსიქოლოგიურად ვმუშაობ, მინდა საკუთარი თავის რწმენა აღიდგინონ. ეს ისევ ის გუნდია, რომელიც შარშან ერთი ნაბიჯით აცდა სკუდეტოს. მე მჯერა მათი, ასევე ჩემი შესაძლებლობების და მინდა გთხოვოთ, რომ თქვენც ირწმუნოთ.

| | | | ხელბურთი. კაცები ავსტრიის ჩემპიონატი | | | | | |
| | | | 8 ნოემბერი | | | | | |
| 21:00 | 833 | შვაცი-გენსერნდორფი | 1.02 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 22:00 | 834 | კრემსი-ინსბრუკი | 1.30 | 9.50 | 3.50 | 1.14 | 1.00 | 2.55 |
| 22:00 | 836 | ალპლა-ლინცი | 1.02 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| | | | 9 ნოემბერი | | | | | |
| 21:00 | 837 | ტულნი-ლეობენი | 1.25 | 10.00 | 3.55 | 1.11 | 1.00 | 2.61 |
| | | | ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | |
| | | | 6 ნოემბერი | | | | | |
| 23:15 | 841 | მელსუნგენი-ლიოვენი | 3.60 | 10.00 | 1.30 | 2.64 | 1.00 | 1.15 |
| | | | 8 ნოემბერი | | | | | |
| 18:00 | 840 | ნორდჰორნი-ჰამბურგი | 2.00 | 8.00 | 1.90 | 1.60 | 1.00 | 1.53 |
| 22:00 | 842 | ბალინგენი-მაგდებურგი | 3.60 | 10.00 | 1.25 | 2.64 | 1.00 | 1.11 |
| 18:00 | 843 | შტრალსუნდი-ვეტცლარი | 2.00 | 8.00 | 1.90 | 1.60 | 1.00 | 1.53 |
| 22:00 | 844 | გიოპინგენი-ფუქსე | 1.25 | 10.00 | 3.80 | 1.11 | 1.00 | 2.75 |
| 18:00 | 847 | მინდენი-დორმაგენი | 1.45 | 9.00 | 3.00 | 1.24 | 1.00 | 2.25 |
| | | | 9 ნოემბერი | | | | | |
| 18:00 | 845 | კილი-ლემგო | 1.12 | 12.00 | 6.00 | 1.02 | 1.00 | 4.00 |
| 20:00 | 846 | გუმერსბახი-ესენი | 1.02 | 14.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.83 |
| | | | ხელბურთი. კაცები ესპანეთის ჩემპიონატი | | | | | |
| | | | 8 ნოემბერი | | | | | |
| 22:00 | 848 | არატე-არაგონი | 2.50 | 9.00 | 1.50 | 1.95 | 1.00 | 1.28 |
| 22:00 | 849 | ალმერია-ტორევიეხა | 3.20 | 9.00 | 1.40 | 2.36 | 1.00 | 1.21 |
| 20:00 | 850 | ვალიადოლიდი-პილოტესი | 1.17 | 11.00 | 5.10 | 1.05 | 1.00 | 3.48 |
| 23:00 | 851 | ტეუკრო-ალკობენდასი | 1.07 | 12.00 | 8.50 | 1.00 | 1.00 | 4.97 |
| 21:30 | 854 | გრანოლიერსი-კუენკა | 1.03 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| | | | ხელბურთი. კაცები საფრანგეთის ჩემპიონატი | | | | | |
| | | | 7 ნოემბერი | | | | | |
| 23:30 | 862 | სტ.რაფაელი-ივრი | 2.70 | 9.50 | 1.45 | 2.10 | 1.00 | 1.25 |
| | | | ხელბურთი. ქალები ჩემპიონთა ლიგა | | | | | |
| | | | 7 ნოემბერი | | | | | |
| 18:30 | 1008 | ლადა-ვალცეა | 2.00 | 8.50 | 1.80 | 1.61 | 1.00 | 1.48 |
| 21:30 | 1009 | ჰიპო-ბუდუჩნოსტი | 1.10 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| | | | 8 ნოემბერი | | | | | |
| 17:20 | 1010 | ვიბორგი-ნიურნბერგი | 1.01 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 19:30 | 1011 | ელდა-კოპენჰაგენი | 3.50 | 10.00 | 1.25 | 2.59 | 1.00 | 1.11 |
| | | | 9 ნოემბერი | | | | | |
| 15:00 | 1012 | ზვეზდა-კომეტალი | 1.01 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 18:45 | 1013 | ეტო-ბორდინგი | 1.25 | 10.00 | 3.30 | 1.11 | 1.00 | 2.48 |
| 20:45 | 1014 | ლუბლიანა-მეცი | 1.02 | 10.00 | 8.50 | 1.00 | 1.00 | 4.59 |
| 21:00 | 1015 | ლარვიკი-პოდრავკა | 1.10 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |

# ლელო ლოკომოტივს ლელოს შეზადებს

**საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის ფინალში „ლელო“ — „ლოკომოტივის“ დაპირისპირება იქნება. შეხვედრა კვირას, 9 ნოემბერს, გაიმართება. როგორც ალბათ უკვე იცით, მცირე ფინალში „ლელომ“ „ყოჩები“ დრამატულ რაგბობაში დაამარცხა. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარფინალში „ლელომ“ „ლოკომოტივთან“ უკვე წააგო, ლევან მაისაშვილის დამოძღვრილები, ცხადია, ჩემპიონობაზე ფიქრობენ და ერთი წუთითაც არ ეპარებათ ეჭვი, რომ ამის გაკეთება შეუძლიათ... ყოველ შემთხვევაში, ასე გვითხრა „ლელოს“ მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა...**

— როგორ შეაფასებთ მცირე ფინალს? ეშხიანი თამაში იყო, ორივე გუნდი იმსახურებდა ფინალში გასვლას...

— არ ვიცი, მაყურებელს სანახაობრივად რამდენად მოეწონა თამაში, მაგრამ მთლიანობაში ძალიან დაძაბული ორთაბრძოლა იყო. როგორც ნახეთ, პირველ ტაიმში სრულ უპირატესობას ვფლობდით და გვარიანი ჰანდიკაპიც მოვიპოვეთ, მაგრამ მეორე ტაიმში 10 წუთით კაცნაკლული დავრჩით, რამაც ჩვენ თამაშზე იმოქმედა. „ყოჩების“ სასახელოდ მინდა ვთქვა, რომ რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებასაც ცოდნა უნდა. მეტოქემ ეს უპირატესობა თავის სასარგებლოდ მშვენივრად გამოიყენა. ბოლოს კი ჩემმა მორაგბეებმა გამონახეს ძალები, სწორად წარმართეს თამაში და, ვფიქრობ, ლოგიკური ლელოც გაიტანეს. ასე რომ, ჩვენ ვიმსახურებდით მოგებას.

— ესე იგი, თვლით, რომ ბოლო ლელოში „ლელოს“ ფორტუნა არ წაეხმარა? გაგდებული ალექსანდრე თოდუა ბოლო წუთებში რომ არ დაბრუნებულიყო მოედანზე, შეძლებდით კი მოგებას?

— პირველად შეხვედრაში გარდატეხა „ყოჩებმა“ შეიტანეს და არა ჩვენ. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ არასწორად წარვმართეთ თამაში და მოწინააღმდეგემაც ამით იხეირა. შემდეგ ყველაფერი კალაპოტში დავაბრუნეთ. ბოლომდე კაცნაკლულები რომ ვყოფილიყავით, ალბათ, მაინც მოვიგებდით. ვგონებ, აქ ფორტუნა არაფერ შუაშია.

— თქვენ ნახევარფინალში უკვე წააგეთ „ლოკომოტივთან“. ეს საფინალოდ ცუდად ხომ არ იმოქმედებს „ლელოზე“?

— ალბათ წაგებულის ფსიქოლოგიაზე მიმანიშნებთ... „ლოკომოტივთან“ უდაძაბულესი მატჩი დავთმეთ. ჩვენს მეტოქეს იმ დღეს ეტყობოდა, რომ მთლად ბოლომდე გამარჯვებული არ იყო. ანუ მათ მოედნიდან გამარჯვებულის ფსიქოლოგია ვერ გაიტანეს. საფინალოდ „ლოკომოტივს“ შეიძლება მხოლოდ ერთი უპირატესობა ქონდეს. მათ თითქმის ათი დღე დაისვენეს, ჩვენ კი მხოლოდ 3-4 დღე... მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს ყველაფერი პირობითია. ერთი გოჯის დათმობასაც არ ვაპირებთ. ჩვენ ჩემპიონობა გვინდა და ეს ნამდვილად შეგვიძლია.

— „ყოჩებთან“ თამაშის შემდეგ ტრავმირებულები ხომ არ გყავთ?

— საშიში და სავალალო არაფერია. მორაგბეებს მცირე ტრავმები აწუხებთ, მაგრამ ფინალამდე ისინი სრულ ჯანზე იქნებიან.

**ზურაბ მიგრიაული**


ლევან მაისაშვილი




„გორენიე“: სერგო დათუკაშვილი მარჯვნიდან მეორეა

# ქართველი ნაკრებამდე გორენიეში გოლაობს

## დათუკაშვილს სლოვენიაში ყველაფერი მოსწონს

*საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ლიდერი სერგო დათუკაშვილი ზაფხულში გერმანული „ლიუბეკიდან“ სლოვენიურ „გორენიეში“ გადავიდა. „ლიუბეკე“ ბუნდესლიგას დაემშვიდობა და სერგოსთან კონტრაქტიც ავტომატურად გაწყდა. ქართველმა ხელბურთელმა გერმანულ შემოთავაზებებზე უარი თქვა, რადგან ბუნდესლიგაში დასარჩენად მებრძოლი გუნდის პერსპექტივას სლოვენიაში საჩემპიონოდ მომართული გუნდის ვარიანტი არჩია. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ „გორენიე“ ჩემპიონთა ლიგასაც თამაშობს და გასულ სეზონში მეორე ჯგუფურ ეტაპზეც გავიდა. მოკლედ, ქართველს ბევრი მიზეზი ჰქონდა სლოვენიურ გუნდში გადასასვლელად, მაგრამ მოსამზადებელ ეტაპზე ტრავმა მიიღო და ორი კვირაა, რაც „გორენიეს“ შემადგენლობაში გამოჩნდა. სერგოს სლოვენიაში შევეხმიანეთ და გუნდის ამბებზე ვესაუბრეთ, მერე კი თავისთავად სანაკრებო თემასაც გადავწვდით. თვის მიწურულს ხომ ჩვენი ნაკრები პოლონეთში ოთხთა ტურნირზე ითამაშებს...*

— ორი კვირაა, რაც თამაში დავიწყე. ტრავმამ ძალიან გამაწვალა. საბედნიეროდ, ახლა ჯანზე ვარ და სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და ვთამაშობ. არადა, თავიდან ტრავმა უფრო სერიოზული ჩანდა და ხელმძღვანელობამ ჩემს პოზიციაზე კიდევ ერთი ხელბურთელი დაიმატა დეკემბრამდე. არ ეგონათ, თუ ასე მალე მოვმჯობინდებოდი.

— **გერმანიაში გუნდის ლიდერი იყავი და პირველ წრეში თითქმის შეუცვლელად თამაშობდი. მანდ როგორაა საქმე, სათამაშო დრო ბევრი გაქვს, თუ კონკურენცია დიდია და ხშირად გასვენებენ?**

— ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ მაქვს, კმაყოფილი ვარ. მწვრთნელი ხორვატი ივიცა ობრვანი კარგი სპეციალისტია და მენდობა, გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მთვლის. ისე, კონკურენცია მართლა ძალიან დიდია. მარტო ჩემს პოზიციაზე ოთხი ხელბურთელი ვთამაშობთ, თუმცა უპირატესობა მე მენიჭება.

— **ბოლო ტურში რთული თამაში გქონდათ „ცელიესთან“...**

— ეგ გუნდი საჩემპიონო ბრძოლაში ჩვენი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია და ძალიან დაძაბული თამაში იყო 30:25 მოვიგეთ და მეც კარგად ვითამაშე: ექვსი დარტყმიდან ხუთი გოლი გავიტანე, რაც ნორმალური მაჩვენებელია.

— **ისე, რას იტყვი, შეძლებთ ჩემპიონობას, რამდენად ძლიერი შემადგენლობა გყავთ საამისოდ?**

— ჯერ ჩემპიონატში შვიდი ტური მიილია და რთულია ახლა პროგნოზის გაკეთება, თუმცა შემადგენლობის გათვალისწინებით ამის მიღწევა ნამდვილად შეგვიძლია. კარგად დაბალანსებული გუნდია. ერთ პოზიციაზე სამი მოთამაშე მოდის. თან ისეც არ არის, რომ ვინმე შეცვალო და თქვა, ეს ძირითადის კაცია და სხვა სათანადოდ ვერ შეცვლისო. მართლა კარგი გუნდია, მეგობრული სიტუაციაც არის და მწვრთნელიც მაღალი დონის სპეციალისტია. ვნახოთ...

— **საჩემპიონო დაპირისპირებაში მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

— ეს გუნდი, ვისაც მოვუგეთ, „ცელიე“ და „კოპერი“. ამათ უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ არც სხვები არიან სუსტები, ყველა თამაშში მაქსიმალურად უნდა დაიხარჯო, თორემ მერე ინანებ. უფრო მეტად გასვლითი თამაშებია ძნელად მოსაგები. თან ჩვენ ყველა გამალებული გვებრძვის, რადგან სახელიანი გუნდი ვართ.

— **თვითონ ჩემპიონატის დონეზე რას იტყვი, როგორია? რასაც ელოდი, ის დაგხვდა?**

— საკმაოდ კარგი ჩემპიონატია. ხელბურთიც ძალიან უყვართ და საინტერესო თამაშებიც ბევრი გამოდის. არ ვნანობ, რომ გერმანიიდან აქ გადმოვედი.

— **ევროთასზეც გამოდიხართ...**

— დიახ, იქაც ბოლომდე ბრძოლას ვაპირებთ. შემადგენლობა ამის საშუალებას გვაძლევს. ახლა, 15 ნოემბერს, ჩერნოგორიის გუნდს ვეთამაშებით და გვინდა, რაც შეიძლება წინ წავიდეთ.

— **კარგი ნაკრებზეც გკითხავ თვის ბოლოს, ოთხთა ტურნირზე გიწვევთ თამაში და მოახერხებ ჩამოსვლას?**

— თუ ჯანმრთელობის მხრივ პრობლემა არ მექნება, აუცილებლად ჩამოვალ. გუნდი ამის ნებას მომცემს და მეც ძალიან მინდა, ნაკრებს დავეხმარო.

— **ევროპის შესარჩევს ველარ თამაშობთ და ეს გარკვეულწილად იმ თამაშების ალტერნატივაა...**

— ცუდია, შესარჩევს რომ ველარ ვთამაშობთ. ეს ტურნე კი აუცილებელიც იყო. რამდენი ხანია ბიჭები ერთად არ ვყოფილვართ. შეთამაშება ხომ ისედაც ჩვენი მთავარი პრობლემაა. თან სერიოზული მეტოქეები გვეყოლება და პოლონეთში თამაში ნამდვილად წაგვადგება.

**ლექსო მაისურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



# მაკა ჩახნაშვილის გერმანული

**მაკა ჩახნაშვილმა** გერმანიის ქალაქ ისმანინგში დაწყებულ ტურნირზე როგორც ერთეულთა, ასევე წყვილთა გათამაშებაში, ივარგა.

მაკამ ერთეულთა შეჯიბრის პირველ შეხვედრაში რუს ეკატერინე ივანოვას მოუგო — 3:6 6:4 6:4.

ჩახნაშვილიმა წყვილებშიც მოასწრო თამაში და უკრაინელი ბიგელტიმერის შეჩოგნებულმა ავსტრიელების — მარისა და მეუსბერგერის წყვილი დაამარცხა — 6:2 6:3.

ისმანინგის ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათას აშშ დოლარს შეადგენს.

აშშ-ის ქალაქ ობორნში კი მიმდინარეობს საჩოგბურთო ტურნირი, რომელზეც ანა ტატიშვილი ერთეულთა გათამაშებაში თავის პირველ შეხვედრას მასპინძელ ანჯელინა ჰეინსთან გამართავს.

წყვილთა ტურნირზე ტატიშვილისა და ამერიკელი ბერენგლეს დუეტმა ძნელად, მაგრამ მაინც დაამარცხა რუსი ჟიდკოვასა და უკრაინელი ლუჟანსკის დუეტი — 6:3 3:6 10:5.

ობორნის ტურნირის ჩემპიონ-პრიზიორები ერთმანეთში 50 აშშ დოლარს დაინაწილებენ.

**ზურაბ მიგრიაული**

# ბასილაშვილი ველური ბარათით დამარცხდა

**ქართველი** ნიკოლოზ ბასილაშვილი პირველივე წრიდან გამოეთიშა ასტანაში მიმდინარე „პრეზიდენტის თასს“.



შეგახსენებთ, რომ ბასილაშვილი ყაზახებმა ტურნირზე ირაკლი ლაბაძის უარის შემდეგ ეგრეთწოდებული „ველური ბარათით“ მიიწვიეს.

„უაილდქარდიანმა“ ნიკოლოზმა კორეელ გუნგ-სუნ ჯუნს პირველი სეტი კი მოუგო, მაგრამ საბოლოოდ მატჩი მაინც წააგო — 6:3 0:6 4:6.

ყაზახური ტურნირის საპრიზო ფონდი 75 ათასი აშშ დოლარია

**ზურაბ მიგრიაული**

ჭადრაკი

## საქართველოს შესარჩევი

**ვერის** ბაღში ნონა გაფრინდაშვილის სახელობის საჭადრაკო სასახლეში საქართველოს ქალთა 66-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი მიმდინარეობს. შეჯიბრება უკვე ფინალურ ტურამდეა მისული და მასში თანაბარი 4,5 ქულით ხუთი მოჭადრაკე ლიდერობს — ანა მეძმარიაშვილი, მარიამ კანკია, ანა კუჭავა, რუსიკო ჭკუასელი და ნინო ანაკიძე. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება მარიამ თევზაძე.

## ჯობავას ბარსელონური

**ბარსელონას** საჭადრაკო ტურნირზე ქართველი ბაადურ ჯობავა მეექვსე ტურში ებრაელ არტურ კონგას ყაიმზე შეუთანხმდა და ამით ჩვენებურმა 3,5 ქულა მოაგროვა.

ჯობავამ მიმდინარე ტურნირი ბრწყინვალედ დაიწყო. მან ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა და გალიდერდა, მაგრამ შემდეგ თამაში აერია... ჯერ რუს ალექსეი დრეევთან წააგო, რასაც ბულგარელ კირილ გეორგიევთან მარცხიც მიაყოლა.

ბარსელონას ტურნირის გამარჯვებული 1500 ევროს მიიღებს. მეორე-მესამე ადგილებზე გასულებს კი, შესაბამისად, 1200 და 900 ევრო ერგებათ.

**ზურაბ მიგრიაული**

# თევზაძეს შავი ზღვა ჩააბარეს

**რუმინეთის** ქალაქ პოიანა ბრაშოვოში 28-30 ოქტომბერს შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპორტული თამაშების ადმინისტრაციული კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელზეც 2010 წლის თამაშების დეტალები და სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები განიხილეს. გადაწყდა, რომ შავი ზღვის მეორე სპორტული თამაშები 2010 წლის 20-27 ივნისს რუმინეთის საპორტო ქალაქ კონსტანცაში ჩატარდება.



ზურაბ [illegible] ფოტო

პოიანა ბრაშოვოში გამართულ სხდომაზე შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპორტული თამაშების აღმასრულებელი ორგანოს კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დახურული კენჭისყრით ამავე კომიტეტის წევრი თამაზ თევზაძე აირჩიეს. თამაზ თევზაძე ერთ დროს კულტურის და სპორტის მინისტრის გიორგი გაბაშვილის მოადგილე იყო, ბოლოს კი საქართველოს ხელბურთის ფედერაციას თავკაცობდა და პირადი მიზეზების გამო გადადგა.

რუმინეთში კი თამაშები 10 სახეობაში ჩატარდება. ეს სახეობებია — ფეხბურთი (ბიჭები), კალათბურთი (ბიჭები), ფრენბურთი (გოგონები), მძლეოსნობა (ბიჭები-გოგონები), ველოსპორტი (ბიჭები), მხატვრული ტანვარჯიში (გოგონები), ცურვა (ბიჭები-გოგონები) თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (ბიჭები და გოგონები), ძალოსნობა (ბიჭები-გოგონები, აფროსნობა (ბიჭები).

თამაშებში სპორტსმენები 18 წლის ჩათვლით დაიშვებიან. მონაწილე ქვეყნების რაოდენობა კი თორმეტს შეადგენს. თამაშებში რუმინელი, რუსი, ალბანელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბერძენი, სერბი, მოლდოველი, თურქი, უკრაინელი, ბულგარელი და ქართველი სპორტსმენები გაეჯიბრებიან ერთმანეთს.

შეგახსენებთ, რომ შავი ზღვის სპორტული თამაშები 2007 წელს თურქეთის ქალაქ ტრაბზონში მოეწყო. საქართველოს ნაკრებმა თურქეთში 6 ოქროს, 8 ვერცხლისა და 20 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**ზურაბ მიგრიაული**

კალათბურთი

# მარკოიშვილი ევროთასით დაჯარიმდა

**წლეულს** ისე გამოვიდა, რომ ქართველი კალათბურთელები, ფაქტობრივად, აღარ შემორჩნენ ევროთასებს. არადა, ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩები მიმდინარეობს.



ჯერ იყო და, ჩვენი „ენერჯი-ინვესტი“ გამოვარდა ფიბას ევროთასიდან ორივე მატჩი წააგო. შემდეგ გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის ტარტუს „როკი“ გამოვარდა პირველი საკვალიფიკაციო რაუნდიდან. ორმატჩიან დაპირისპირებაში ერთი მოიგეს, მეორე წააგეს და საერთო ჯამშიც წაგებულები გამოვიდნენ. ამის შემდეგ მხოლოდ მანუჩარ მარკოიშვილი და მისი „კიევი“ დაგვრჩა ევროთასზე, სადაც უკრაინელები მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში არიან. თუმც ისეთი პირი უჩანს, რომ ისინიც სულ მალე დაასრულებენ თამაშს.

**კიევი 69:96 პანელინიოსი**

ეს შეხვედრა მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი იყო, რომელსაც საბერძნეთმა უმასპინძლა. უკრაინელები ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ მათ არ ეყოთ დონე, მეტოქე დაემარცხებინათ ან შედარებით მცირე ანგარიშით წაეგოთ.

ანდა მანუჩარ მარკოიშვილსა და მის გუნდს საპასუხო, საშინაო შეხვედრაში სასწაული თუ გადაარჩენთ. მათ იმაზე უფრო დიდი სხვაობით უნდა მოიგონ კიევში მატჩი, ვიდრე ელადაზე დამარცხდნენ.

ალბათ ყველას წარმოგიდგენიათ, რა რთული საქმე იქნება საკმაოდ კარგად შეკრული გუნდის, „პანელინიოსის“ 27 ქულაზე მეტით დამარცხება. მით უმეტეს, რომ ამ ბერძნული გუნდის მთავარ პლუსად სწორედ დაცვაში კარგი თამაში ითვლება. მათ ეს პირველ შეხვედრაშიც კარგად წარმოაჩინეს — მეტოქეს ერთ მეოთხედში ყველაზე მეტი, 18 ქულა ჩააგდებინეს, სამჯერ კი მხოლოდ 17 ქულა აკმარეს.

ჩვენი კალათბურთელი ბევრს კი ცდილობდა, მაგრამ საბოლოოდ მოედანზე მხოლოდ 23 წუთი გაატარა. ამის მიზეზი კი 5 პერსონალური შენიშვნა გახდა.

**მანუჩარ მარკოიშვილი:** *23 წუთი, 8 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 5 პერსონალური შენიშვნა, 3-დან 2 სამქულიანი, 2-დან 2 ორქულიანი.*

**გიორგი არაბული**

# სუპერლიგა ქვევიდანაც იზრდება

**გასულ** უქმეებზე, საკალათბურთო სუპერლიგის პარალელურად, ქვემორე ლიგებიც დაიწყო.

ჯერ გათამაშებაში ჩაებნენ 1991-1992 წლებში დაბადებულები, სულ მალე კი უკვე ახალგაზრდული ჩემპიონატიც დაიწყო.

ახალგაზრდული ჩემპიონატის მატჩების ნაწილი კვირას თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ამით მოთამაშეები წაეხალისებინა. ალბათ ყველა ქართველი კალათბურთელისთვის საოცნებოა სპორტის სასახლეში თამაში.

### 1991-92 წელს დაბადებულები

30 ოქტომბერი
აკადემია

**ნაკრები-93 74:89 აკადემია**
**ნაკრები-93:** ფხაკაძე (16), ბურჯანაძე (15)
**აკადემია:** ბოქოლიშვილი (21), ახალაია (18)

31 ოქტომბერი
რუსთავი

**რუსთავი 57:68 სამედიცინო**
**რუსთავი:** ძველიშვილი (25), გურული (21)
**სამედიცინო:** ლეჟავა (23), ბექაური (18)

1 ნოემბერი
აკადემია

**მართვე 80:59 ქუთაისი**
**მართვე:** ტეტელაშვილი (19), დარბაიძე (14)
**ქუთაისი:** თუკვაძე (20), ქორიძე (8)

**მართვე 2 90:85 დინამო**
**მართვე 2:** გლოველი (25), ქიჟვიშვილი (23)
**დინამო:** ბაქრაძე (22), გულდედავა (17)

### ახალგაზრდული ჩემპიონატი

1 ნოემბერი
რუსთავი

**რუსთავი 97:66 ქუთაისი**
**რუსთავი:** მაჭავარიანი (17), სიხარულიძე (17)
**ქუთაისი:** კანდელაკი (15), თუკვაძე (10)

2 ნოემბერი. თბილისის სპორტის სასახლე

**მაკაბი 79:72 სამედიცინო**
**მაკაბი:** აჰმედიანი (21), ჯანგველაძე (13), ლონდარიძე (10 ქულა, 14 მოხსნა)
**სამედიცინო:** გაბისონია (18), ბექაური (14 ქულა, 13 მოხსნა)

**აკადემია 77:74 მართვე**
**აკადემია:** მეფარიშვილი (28), ბოქოლიშვილი (24)
**მართვე:** მუმლაძე (22), მეჭურჭლიშვილი (12 ქულა, 17 მოხსნა)

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# გაცვეთილი დეზები, ჩამოგდებული რაკეტები

4 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი 86:114 ფინიქსი**

**ნიუ ჯერსი: კარტერი (19), ძიანლიანი (15)**

**ფინიქსი: ბელი (22), ონილი (18), სტუდემაიერი (14), ნეში (12 ქულა, 11 პასი)**

2001 და 2002 წლების პლეი ოფების ფინალისტი „ნიუ ჯერსი ნეთსი“ რეორგანიზაციის პროცესშია და ასეთი გადახალისებული შემადგენლობით, რომელსაც ვინს კარტერის გარდა იდეაში დევინ ჰარისი და ჩინელი იი ძიანლიანი ლიდერობენ, პლეი ოფშიც ვერ გავა. ასე რომ, ქომაგობაც ბევრს არ ელის მისგან და ძუნწად ავსებს ტრიბუნებს.

4 ნოემბერი ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნების დღე გახლდათ და „ნეთსის“ შეხვედრა დასავლელ სუპერგუნდ „ფინიქსთან“ თამაში ნახევრად ცარიელ დარბაზში ჩატარდა. შესვენებაზე გამოაცხადეს პრეზიდენტის კანდიდატურის სახელები და ნიუ იორკის გარეუბნელები მოწონების შეძახილებით შეეხმიანენ ობამას, მაკკეინს კი ცნობილი „ბუუუ“ შეაგებეს.

და მაინც, ამგვარი არასაკალათბურთო და არაკონსტრუქტიული განწყობის მიუხედავად, მეტისმეტად ულიმღამო გამოვიდა თამაში. მასპინძელი „ნიუ ჯერსი“ სასტიკად შერცხვა და საბოლოოდ 28 ქულით დათმო „ფინიქსთან“. სტუმართა მსროლელმა რაჯა ბელმა მავე დღე აყარა „ნეთსს“, ექვსი სროლიდან ექვსი სამქულიანი ჩაუგდო და 22 ქულით მატჩის ბომბარდირი შეიქნა, თუმცალა მოედანზე არაერთი მასზე წონადი კალათბურთელი ირჯებოდა. შაკილ ონილმა და ამარე სტუდემაიერმა სამწამიანი აუოხრეს მასპინძლებს, სტივ ნეშმა კი აკეთა ის, რასაც ყოველთვის აკეთებს — შეტევაში პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს და როცა საჭირო იყო, თავადაც აგდებდა.

მატჩის ბედი საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრე გადაწყდა. „ფინიქსმა“ მეოთხე მეოთხედის წინ 15-ქულიანი უპირატესობა შეიქმნა და მისმა მწვრთნელმა მაიკლ კარიმ ყველა ძირითადი დაასვენა, მაგრამ სათადარიგოებმა უარეს დღეში ჩააგდეს მასპინძლები — ბოლო 12-წუთეული 22:9 მოუგეს, რაც გასაკვირი სულაც არაა „სანზის“ სკამის შემხედვარე. ამ გუნდს მარქაფში ჰყავს გრანტ ჰილი, ლეანდრო ბარბოსა, ბორის დიაუ... „ფინიქსისთვის“ ეს გამარჯვება ოთხ ცდაში მესამე იყო.

**ჰიუსტონი 99:103 ბოსტონი**

**ჰიუსტონი: მაკგრეიდი (26), სკოლა (21 ქულა, 9 მოხსნა), არტესტი (15)**

**ბოსტონი: ალენი (29), პერკინსი (15), გარნეტი (14 ქულა, 11 მოხსნა), პირსი (13)**

„ძალიან მაგარი გუნდი გყავთ“ — ეუბნებოდა ნამატჩევს „ბოსტონის“ მთავარი მწვრთნელი დოკ რივერსი „ჰიუსტონის“ გენერალურ მენეჯერ დერილ მორის. შესაძლოა, დამარცხებულს ამშვიდებდა ან ეპირფერებოდა კიდეც, შესაძლოა, დოკი მართალიცაა, „ჰიუსტონს“ ხომ აქამდე სამივე თამაში მოუგო და რონ არტესტის შემატების შემდეგ აშკარად მეტი საიმედოობა შეიძინა. თუმც რივერსის „ბოსტონთან“ ვერც არტესტმა უშველა და ვერც ძველმა ვარსკვლავებმა. გამარჯვება ჩემპიონს დარჩა.

„არტესტის დამატებით მაგ გუნდმა დაცვა გაამყარა და შეტევაშიც უფრო მობილური გახდა, მაგრამ ჩვენ ამ თამაშის მოგებაც ისევე საჭიროდ გვეხატებოდა, როგორც სხვა ნებისმიერის. ჩვენ ჩვენი ვითამაშეთ“ — ამბობდა შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე, „ბოსტონის“ ვეტერანი მსროლელი რეი ალენი. მან 29 ქულა ჩაუგდო მასპინძლებს, რომლებიც ძირითად ყურადღებას „სელტიქსის“ სუპერტრიოს ორ დანარჩენ წევრს — პირსსა და გარნეტს უთმობდნენ. თავის მხრივ, „კელტებმა“ დაცვაში მთავარ სამიზნედ „ჰიუსტონის“ ჩინელი ჟირაფი იაო მინი აირჩიეს და მას მხოლოდ 8 ქულა ჩააგდებინეს. ამ სტრატეგიამ გაამართლა და „როკტსი“ პირველად დამარცხდა, მაკგრეიდის, არტესტისა და არგენტინელი სკოლას რიგიანი თამაშის მიუხედავად. თუმცალა, შანსი მაინც ჰქონდათ მასპინძლებს: მაკგრეიდიმ 101:97 ანგარიშზე სამი საჯარიმოდან ორი ჩააგდო და ორი ქულით მიაახლოვა „რაკეტები“ „კელტებს“, მაგრამ სტუმართა სათადარიგომ ედი ჰაუსმა სირენამდე 6 წამით ადრე მონადირებული ასევე წყვილი საჯარიმოთი მათ გარჯას აზრი დაუკარგა.

**სან ანტონიო 81:98 დალასი**

**სან ანტონიო: პარკერი (22), დანკანი (19 ქულა, 15 მოხსნა)**

**დალასი: ნოვიცკი (30), ტერი (29), ჰოვარდი (14 ქულა, 12 მოხსნა)**

„სან ანტონიო“ ჯერჯერობით მხოლოდ მარცხების რიცხვს ზრდის, ამ შემოდგომას გამარჯვება ჯერ არ დაუგემოვნებია. ბევრი ამას მანუ ჯინობილის ტრავმას დააბრალებს, მაგრამ ეს ცუდი გამართლებული საბუთია, კარგი გუნდი ერთი კაცის, თუნდაც სუპერვარსკვლავის გარეშეც უნდა ახერხებდეს მოგებას. „სან ანტონიოს“ კი არც „დალასთან“ ეცხო მომგებისა არაფერი. ტეხასურ დერბიში დირკ ნოვიცკის გუნდმა უდრტვინველად იმარჯვა — სტუმრებმა პირველი ტაიმი 18 ქულით მოუგეს უფანტაზიოდ და უმარილოდ მოთამაშე „დეზებს“ და მეორეშიც ახლოს-არ მიიკარეს. „სან ანტონიომ“ ბოლო 35 წელიწადში რეგულარული ჩემპიონატის საწყისი სამი თამაში პირველად წააგო.

**ირაკლი ფირაშვილი**



„ბოსტონის“ ფარქვეშეთის მპყრობელნი: კევინ გარნეტი და პოლ პირსი

| ალმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ტორონტო | 3 | 0 | 100 |
| ბოსტონი | 3 | 1 | 75,0 |
| ფილადელფია | 2 | 2 | 50,0 |
| ნიუ იორკი | 1 | 2 | 33,3 |
| ნიუ ჯერსი | 1 | 2 | 33,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 3 | 0 | 100 |
| ჩიკაგო | 2 | 2 | 50,0 |
| კლივლენდი | 2 | 2 | 50,0 |
| მილუოკი | 2 | 2 | 50,0 |
| ინდიანა | 1 | 1 | 50,0 |
| **სამხრეთ-ალმოსავლეთი** | | | |
| ატლანტა | 2 | 0 | 100 |
| ორლანდო | 2 | 2 | 50,0 |
| შარლოტი | 1 | 2 | 33,3 |
| მაიამი | 1 | 2 | 33,3 |
| ვაშინგტონი | 0 | 2 | 0 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| ნიუ ორლეანი | 3 | 0 | 100 |
| ჰიუსტონი | 3 | 1 | 75,0 |
| დალასი | 2 | 2 | 50,0 |
| მემფისი | 2 | 2 | 50,0 |
| სან ანტონიო | 0 | 3 | 0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 3 | 0 | 100 |
| ოკლაჰომა | 1 | 2 | 33,3 |
| პორტლენდი | 1 | 2 | 33,3 |
| დენვერი | 1 | 2 | 33,3 |
| მინესოტა | 1 | 2 | 33,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 3 | 0 | 100 |
| ფინიქსი | 3 | 1 | 75,0 |
| გოლდენ სტეიტი | 1 | 3 | 25,0 |
| საკრამენტო | 0 | 4 | 0 |
| კლიპერსი | 0 | 4 | 0 |

# კვირის მოთამაშეები

## ალმოსავლეთი

**კრის ბოში (ტორონტო)**




## დასავლეთი

**კრის პოლი (ნიუ ორლეანი)**



რეგულარული ჩემპიონატის პირველი კვირა მიილია და ნბა-მაც რჩეულები დაასახელა ორივე კონფერენციაში. ალმოსავლეთში კვირის მოთამაშედ დასახელდა „ტორონტო რეპტორზის“ 208-სანტიმეტრიანი ფორვარდ-ცენტრი კრის ბოში, რომელიც პეკინის ოლიმპიადაზეც ბრწყინვალედ გამოიყურებოდა და ახლაც არ ეტყობა გადაღლილობა, მთელი ზაფხული ვარჯიშ-თამაშში გატარების მიუხედავად. გასულ კვირას კანადურმა კლუბმა სამივე თამაში რომ მოიგო, შობის დამსახურებაა, ვინაც საშუალოდ 26,0 ქულა, 10,0 მოხსნა და 3,7 პასი იხვეჭა.

დასავლეთსაც ღირსეული ლაურეატი ჰყავს. „ნიუ ორლეან ჰორნეთსის“ გამთამაშებელი და ლიდერი კრის პოლიც პეკინის ერთ-ერთი გმირია, ახლა კი ის თავის გუნდს მიუძღვის და ზედიზედ სამი თამაშიც მოაგებინა. სამ თამაშში მისი სტატისტიკაა 21,7 ქულა და 12,0 პასი. გამოსარჩევია ხუთშაბათს „ფინიქსთან“ 108:103 გამარჯვება, სადაც პოლმა ვეტერან სუპერგამთამაშებელ სტივ ნეშთან დუელში 20 ქულა, 10 პასი და 8 მოხსნა გააკეთა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ ამპლუაში საუკეთესო უკვე თავადაა და არა ნეში.

**კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის“ ვერსია): კრის პოლი (ნიუ ორლეანი), ჯო ჯონსონი (ატლანტა), დენი გრეინჯერი (ინდიანა), კრის ბოში (ტორონტო), იაო მინი (ჰიუსტონი)**

## რეგულარული ჩემპიონატი

# 36 წლის ბრიყვი ბროდო

4 ნოემბერი

**რეინჯერსი 1:2 აილენდერსი**
0:0 0:0 1:2
0:1 ტომპსონი 43), 0:2 პარკი 48), 1:2 ნესლუნდი 58)

**ტორონტო 4:5 კაროლინა**
1:4 2:0 1:0 0:1
0:1 რუუტუ (3), 0:2 ზაიდენბერგი (6), 0:3 ლაროუზი (9), 1:3 ჰაგმანი (14), 1:4 ბაიდა (19), 2:4 გრაბოვსკი (24), 3:4 ვარ რინი (35), 4:4 გრაბოვსკი (42), 4:5 ვალინი (62)

**ოტავა 2:1 ვაშინგტონი**
0:0 1:1 0:0 1:0
1:0 ჰიტლი (22), 1:1 ფლეიშმანი (24), 2:1 ფიშერი (65)

**ვანკუვერი 4:0 ნეშვილი**
0:0 1:0 3:0
1:0 ველვუდი (30), 2:0 რეიმონდი (45), 3:0 ველვუდი (46), 4:0 დ. სედინი (55)

**კალგარი 2:4 ფინიქსი**
2:2 0:2 0:0
1:0 ლენგკოუ (4), 1:1 მორისი (11), 1:2 დოუნი (19), 2:2 ბოიდი (20), 2:3 ჟოვანოვსკი (32), 2:4 რაინპრეხტი (38)

**ლოს ანჯელესი 0:1 ანაჰაიმი**
0:0 0:0 0:0 0:1
0:1 პრონგერი (61)

**სან ხოსე 3:1 მინესოტა**
1:1 0:0 2:0
0:1 კოლანოსი (5), 1:1 გრირი (18), 2:1 მაკგინი (44), 3:1 კლოუ (46)

უმთვარესი ნჰლ-ური სიახლე მარტინ ბროდოს ტრავმაა — ამის გამო „ნიუ ჯერსი დევილსს" 15 წლის განმავლობაში პირველად მოუწევს ამ სუპერმეკარის გარეშე თამაშის სწავლა. ბროდო ხომ იმ კიპერთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც სეზონში ბევრი თამაშის ჩატარება უყვარს. თუნდაც შარშან 36 წლის ვეტერანმა რეგულარული სეზონის 82 მატჩიდან 77-ში ითამაშა. ახლა კი „ეშმაკებს" 3-4 თვე მოუწევთ მის გარეშე ყოფნა, რაც შეიძლება, გუნდისთვის ნამდვილ კატასტროფად იქცეს.

ყველაზე მთავარი ის არის, რომ კიპერმა ძალიან უაზრო, შეიძლება ითქვას, ბრიყვული ტრავმა მიიღო — „ატლანტასთან" შეხვედრაში მკლავი გაუსივდა. ბევრს ეგონა ბროდო რამდენიმე დღეში, მაქსიმუმ ორიოდ კვირაში დაბრუნდებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მარტინს ოპერაციის გაკეთება მოუწევს.

„ასეთი არაფერი გამიგია. მესმის ფეხის ან საზარდულის ტრავმა მქონოდა — მეკარეებს ჩვეულად ეს თუ ემართებათ ხოლმე. მაგრამ მკლავის ტრავმა? ამაზე არც კი მსმენია. ბედმა აშკარად დამცინა" — ჩიოდა ბროდო ჟურნალისტებთან.

ჩვენ კი გუშინდელ შეხვედრებს მივუბრუნდეთ და ჩემპიონატის ლიდერსა და დღესდღეობით უდავოდ საუკეთესო გუნდ „სან ხოსეზე" ვთქვათ, რომელმაც უკვე მე-11 შეხვედრა მოიგო. „ზვიგენებს" აშკარად დაეტყო ტოდ მაკლელანის ხელი — „დეტროიტში" მაიკ ბებკოკის თანაშემწედ ნამუშევარი ეს 43 წლის სპეციალისტი ამტკიცებს, რომ დამოუკიდებლადაც შეუძლია წარმატებით მუშაობა. კალიფორნიელებიც თითქმის არავის ინდობენ და სასტარტო მატჩიდან მოყოლებული კრეისერული სიჩქარით მოძრაობენ.

ამჯერად „ზვიგენთა" ლაგუნას მინესოტელი „ველურები" ესტუმრნენ და მიუხედავად იმისა, რომ გამწარებით იცავდნენ თავს, კალიფორნეილთა ყბებს მაინც ვერ დააღწიეს თავი და მესამე პერიოდში გატყდნენ.

ჩემპიონატის კიდევ ერთმა ლიდერმა „რეინჯერსმა" კი სრულიად მოულოდნელად წააგო აუტსაიდერ „აილენდერსთან". თუმც ნიუიორკულმა დერბიმ ფავორიტ-აუტსაიდერი არ იცის, აქ ყოველთვის თანაბარი ომია. „კუნძულელებმა" ამჯერად მეტოქის უყურადღებობით ისარგებლეს — „რეინჯერებმა" ორივე მაშინ გაუშვეს, როცა ყინულზე ერთით მეტი ჰოკეისტი ჰყავდათ.

„ვაშინგტონს" ვერც ალექსანდრ ოვეჩკინის დაბრუნებამ უშველა. მაგრამ „დედაქალაქები" მთლად მშრალზე არ დარჩენილან და ოტავადან კინკილა ქულა მაინც წამოიღეს. მატჩის გმირად კი მაიკ ფიშერი იქცა, რომელმაც წლეულს თავისი პირველი შაიბა შეაგდო.

წინა კვირას „ანაჰაიმი" სუპერგახსნილ ჰოკეის თამაშობდა და ხუთ გოლზე ნაკლებს არ იტანდა, თუმც ბევრსაც უშვებდა. ეტყობა, „იხვების" მწვრთნელმა რენდი კარლაილმა ამჯერად დაცვის გამოცდა გადაწყვიტა და ამის გამო „ლოს ანჯელესთან" კალიფორნიულ დერბიში ულიმღამო ჰოკეი გაჩაღდა. ყველაფერი ნამატჩევი ბულიტებისკენ მიდიოდა, როცა თავისი თავდასხმელების ინერტულობით მობეზრებული კრის პრონგერი შეტევაში გაიქცა და მატჩის ერთადერთი შაიბაც შეაგდო.

დღის ყველაზე საინტერესო ჯახი კი უდავოდ ტორონტოში გაიმართა, სადაც მასპინძლებმა ჩვეული სცენარი გაითამაშეს — თავიდან გულუხვი მასპინძლობა გამოიჩინეს და სტუმრად ჩამოსულ „კაროლინას" გვარიანად დაწინაურების საშუალება მისცეს. შემდეგ კი მეტოქეს გამოეკიდნენ და ბელარუს მიხაილ გრაბოვსკის დახმარებით, ქულას გამოჰკრეს ხელი. თუმც ოვერტაიმში მაინც სტუმრებმა იხეირეს, რასაც შვედი მცველი ნიკლას ვალინის შორეულ გასროლას უნდა უმადლოდნენ.

**ბახა ლომაშვილი**





# ელენა დასვენებული და შეუბრალებელი

**ქალები**
წლის შემაჯამებელი ტურნირი
დოჰა. ყატარი
საპრიზო 4 550 000 $

**წითელი ჯგუფი**
**ვინუს უილიამსი (8, აშშ)** — დინარა საფინა (3, რუსეთი) 7:5 6:3

**თეთრი ჯგუფი**
**ელენა იანკოვიჩი (1, სერბეთი)** — ანა ივანოვიჩი (5, სერბეთი) 6:3 6:4; **ვერა ზვონარიოვა (6, რუსეთი)** — სვეტლანა კუზნეცოვა (7, რუსეთი) 6:2 6:3

დოჰაში დაწყებული ქალთა 2008 წლის სეზონის უკანასკნელი ტურნირის პირველი სათამაშო დღე არცთუ საინტერესო გამოდგა. შეიძლება ითქვას, რომ სასტარტო თამაშებმა იმედები გაუცრუეს უბრალო მაყურებელსაც და ჩოგბურთის სპეციალისტებსაც — ყველა შეხვედრა ორ სეტში დამთავრდა, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ თანაბარი და შესაბამისად საინტერესო ბრძოლა არც ერთ წყვილში არ გამართულა.

ამიტომ რომელიმე შეხვედრის გამორჩევაზე საუბარი ნაკლებად შეიძლება, მაგრამ მაინც თუ რომელიმეს უნდა დავადოთ ხელი, მაშინ ეს წითელ ჯგუფში გამართული ერთადერთი დაპირისპირება იქნება, რომელშიც ერთმანეთს ვინუს უილიამსი და დინარა საფინა ხვდებოდნენ.

აქ ფავორიტად რუსი უფრო მიიჩნეოდა, რადგანაც სეზონი სტაბილურადაც გაიარა და ბოლო ხანებში არც ტრავმები აწუხებდა. ვინუსმა კი ბოლო წლების ტრადიციით, ამ სეზონის ნახევარიც ლაზარეთში გაატარა. ამიტომაც უმეტესობა ფსონს საფინაზე ჩამოდიოდა.

მატჩიც ამ სცენარით დაიწყო. რუსმა მალე გააკეთა ბრეიკი და წინაც გაიჭრა. მეტიც, საფინას სეტი თითქმის მოგებულიც ჰქონდა, როცა 5:2 ლიდერობდა და მეტოქის მოწოდებაზე ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. მაგრამ როცა საქმე უილიამსებთან გვაქვს — არა აქვს მნიშვნელობა ეს ვინუსი იქნება თუ სერენა — ნაადრევი დასკვნების გაკეთება, უბრალოდ, სისულელეა.

„როცა 5:2 ვაგებდი, მაშინ გავიფიქრე, რომ შეიძლებოდა ეს სეტი წამეგო, მაგრამ გადავწყვიტე, ადვილად არ დამეთმო და ერთი-ორი გეიმი კიდევ მომეგო. ამიტომაც ვეცადე, ცოტა მეტი სიფრთხილით მეთამაშა და ინიციატივა ოდნავ მეტოქისთვის მიმეცა, ეგებ შეცდომების დაშვება დაიწყოს-მეთქი. როგორც ხედავთ, ამან გაამართლა და გეგმა არათუ შევასრულე, არამედ გადავაჭარბე კიდეც და ფაქტობრივად წაგებული სეტი მაინც მოვიგე" — გაანდო ნამატჩევს ჟურნალისტებს თავისი წარმატების საიდუმლო ვინუსმა.

მართლაც, ამერიკელმა შეძლო ამ ღრმა ორმოდან ამოძრომა და ზედიზედ ხუთი გეიმის მოგებით სეტიც სათავისოდ დაიტოვა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, გადამწყვეტი ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა. განიავებული შანსის გამო ანერვიულებულმა საფინამ ველარ შეძლო კონცენტრირება და მეორე სეტში ფარ-ხმალი დაყარა.

აი, თეთრ ჯგუფში კი ინტრიგის მაგვარიც არაფერი ყოფილა. არადა, სერბული დერბისგან ბევრს ელოდნენ, მაგრამ ელენა იანკოვიჩმა უკეთ აუღო ალღო ყატარულ ჰარდს. თანაც მსოფლიოს პირველი ნომერი გაცილებით უკეთ მოძრაობდა კორტზე — ეტყობა, გაამართლა თვითნებურად აღებულმა ორკვირიანმა დასვენებამ, რის გამოც ელენამ ავსტრიულ ლინცში თამაში იუარა.

იანკოვიჩმა პირწმინდად დაჩაგრა თანამემამულე და 2006 წლის ზაფხულის შემდეგ პირველად მოახერხა მისი დამარცხება.

„რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ დღევანდელი წარმატებით. უკმაყოფილო არც ნაჩვენები თამაშით ვარ. ვგრძნობ, რომ აქ უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა შემიძლია — არც რაიმე ტრავმა მაწუხებს და კარგად დასვენებულიც ვარ" — ასე ხარობდა ნამატჩევს იანკოვიჩი, რომელმაც კარიერაში პირველად შეძლო წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაშის მოგება. შეგახსენებთ, რომ ელენას შარშანდელი დებიუტი მადრიდში ძალიან წარუმატებელი გამოდგა და სერბმა ესპანეთში სამივე შეხვედრა დათმო.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში კი რუსული დუელი გაიმართა და ეს კიდევ უფრო უინტერესო საცქერი გამოდგა. ვერა ზვონარიოვამ, რომელმაც ტურნირზე თამაშის უფლება ყველაზე ბოლოს გაინაღდა და ისიც დიდ წილად იმიტომ, რომ მარია შარაპოვამ ტრავმის გამო ვერ მოახერხა დოჰაში ჩასვლა, უშანსოდ დატოვა სვეტლანა კუზნეცოვა და დღის მთავარი სიურპრიზიც შემოგვთავაზა.

ამით ზვონარიოვამ დაამტკიცა, რომ დოჰაში ტყუილ-უბრალოდ არ მოხვედრილა. მეტიც, თუ ის ამავე დონეზე შეძლებს სერბებთან თამაშსაც, მაშინ ნახევარფინალში გასვლის რეალურ კანდიდატადაც უნდა მივიჩნიოთ. ხოლო ტურნირის წინ კუზნეცოვას მიერ გაკეთებული ხმამაღალი განცხადებები იმის შესახებ, რომ ის დოჰაში მხოლოდ ჩემპიონობისთვის იყო ჩასული, მატრაკვეცობა გამოდგა.

**ბახა ლომაშვილი**


ელენა იანკოვიჩი

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. წუხელ

### E ჯგუფი

**ოლბორგი 2:2 ვილიარეალი**

0:1 როსი (41), 1:1 კურტი (54), 1:2 ფრანკო (75), 2:2 დუე (81)

ოლბორგი: ზაზა, ბიოგელუნდი (ნილსენი 75), ოლფერსი, იაკობსენი, პედერსენი, აუგუსტინუსენი, ენევოლდსენი, დუე, იოჰანსონი, კაკა (რისგარდი 79), კურტი (საგანოვსკი 72)

მწვრთნელი: ალან კუნი

ვილიარეალი: დიეგო ლოპესი, ხავი ვენტა, გონსალო, გოდინი, კაპდევილა, კასორლა, სენა, ედმილსონი (მატი ფერნანდესი 82), პირესი (კანი 62), როსი (ფრანკო 65), იორენტე

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

გაფრთხილება: გოდინი, დუე, ფრანკო, კანი

მსაჯი: ბერტრან ლეიეკი (საფრანგეთი)

9 500 მაყურებელი

**სელტიკი 1:1 მანჩესტერი**

1:0 მაკდონალდი (13), 1:1 გიგზი (84)

სელტიკი: ბორუცი, ჰინკელი, კოლდუელი, მაკმანუსი, უილსონი, ჰარტლი, ს. ბრაუნი, რობსონი, მელონი (ოდი 76), მაკდონალდი (ჰატჩინსონი 82), შერიდანი (დონატი 64)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

მანჩესტერი: ფოსტერი, რაფაელი (ევრა 66), ფერდინანდი, ვიდიჩი, ოშე, კრიშტიანუ რონალდუ, ფლეტჩერი, კარიკი, ნანი (ბერბატოვი 46), ტევესი (რუნი 71), გიგზი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ნანი

მსაჯი: ტომ ჰენინგ იოვრებიო (ნორვეგია)

58 903 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:1 | 8 |
| ვილიარეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 8 |
| სელტიკი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:5 | 2 |
| ოლბორგი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:11 | 2 |

### F ჯგუფი

**ფიორენტინა 1:1 ბაიერნი**

1:0 მუტუ (11), 1:1 ბოროვსკი (78)

ფიორენტინა: ფრეი, ძაური, დაინელი, გამბერინი, გობი, კუზმანოვიჩი (ოსვალდო 79), ფელიპე მონტოლივო, შანტანა (ალმირონი 63), ჟილარდინო, მუტუ

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

ბაიერნი: რენზინგი, ოდო, ლუსიუ, დემიკელისი, ზე რობერტუ, ბოროვსკი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი (კროოსი 79), რიბერი, კლოზე, პოდოლსკი (ოტლი 89)

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

გაფრთხილება: ბოროვსკი, მონტოლივო

მსაჯი: ალბერტო უნდიანო მალიენკო (ესპანეთი)

40 000 მაყურებელი

**ლიონი 2:0 სტიაუა**

1:0 ჟუნინიო (44), 2:0 რევეიერი (89)

ლიონი: ლორისი, რევეიერი, კრისი, ბუმსონგი, გროსო, ტულალანი, ჟუნინიო, მაკუნი, კეიტა (დელგადო 70), ედერსონი (კალსტრიომი 70), ბენზემა (პიკიონი 83)

მწვრთნელი: კლოდ პიუელი

სტიაუა: საპატა, ოგერარუ, გოინეა, გოიანი, მარინი, რედონი, ტიაგუ გომეში, სტანკუ (მორენო 59), ნიკოლიცე, სეკუი (სემედუ 46, არტურო 81), კაპეტანოსი

მწვრთნელი: დორინელ მუნტეანუ

გაფრთხილება: კრისი, კაპეტანოსი, სტანკუ, გოიანი, ჟუნინიო

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

30 243 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:6 | 8 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| ფიორენტინა | 4 | 0 | 3 | 1 | 3:6 | 3 |
| სტიაუა | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |

### G ჯგუფი

**არსენალი 0:0 ფენერბაჰჩე**

არსენალი: ფაბიანსკი, ტურე, ჟურუ, სილვესტრი (სონგი 83), კლიში, რემსი (დიაბი 60), ფაბრეგასი, დენილსონი, ნასრი, ბენდტნერი (ველა 60), ვან პერსი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ფენერბაჰჩე: ვოლკან დემირელი, გიოქჰანი, ედუ ლუგანო, რობერტო კარლოსი (ვედერსონი 69), მალდონადო (ხოსიკო 68), სელჩუქი, ქაზიმი (ბილგინი 60), ულური, სემიხი, გუისა

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

გაფრთხილება: სელჩუქი, ჟურუ, ლუგანო, ვედერსონი, ვან პერსი

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

60 003 მაყურებელი

**დინამო 1:2 პორტუ**

1:0 მილევსკი (21), 1:1 როლანდუ (69), 1:2 ლუჩო გონსალესი (90)

დინამო: ბოგუში, ბეტაუ, დიაქატე, მიხალიკი, ნესმაჩნი, ვუკოიევიჩი, გიოანე (ბანგურა 60), ერიომენკო, ელ ქადური, ალიევი, მილევსკი

მწვრთნელი: იური სიომინი

პორტუ: ელტონი, სეპუნარუ (პელე 68), როლანდუ, ბრუნუ ალვეში, პედრუ ემანუელი (ლინუ 78), ფერნანდუ, ლუჩო გონსალესი, რაულ მეირელეში, სექთიუი (ჰულკი 46), როდრიგესი, ლისანდრო

მწვრთნელი: ჟესუალდუ ფერეირა

გაფრთხილება: ელ ქადური, პედრუ ემანუელი, ჰულკი, როდრიგესი, ლუჩო გონსალესი, ლუჩო გონსალესი

გაძევება: ლუჩო გონსალესი (90)

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

16 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:3 | 8 |
| პორტუ | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| დინამო | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |

### H ჯგუფი

**ბატე 0:2 ზენიტი**

0:1 პოგრებნიაკი (34), 0:2 დანი (90)

ბატე: ვერემკო, ხაგუში (სივაკოვი 79), რჟევსკი (კაზანცევი 58), სოსნოვსკი, იურევიჩი, კრივეცი, ლიხტაროვიჩი, ნეხაიჩიკი (მირჩევი 76), ბლიზნიუკი, სტასევიჩი, როდიონოვი

მწვრთნელი: ვიქტორ გონჩარენკო

ზენიტი: მალაფეევი, ანიუკოვი, პიუიგრენიე, კრიჟანაცი, შირლი, ტიმოშჩუკი, დენისოვი, ზირიანოვი, დანი, პოგრებნიაკი (შიროკოვი 90), არშავინი (ჰუბოჩანი 78)

მწვრთნელი: დირკ ადვოკატი

გაფრთხილება: პიუიგრენიე, პიუიგრენიე

გაძევება: პიუიგრენიე (73)

მსაჯი: სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

40 000 მაყურებელი

**რეალი 0:2 იუვენტუსი**

0:1, 0:2 დელ პიერო (17, 67)

რეალი: კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, ჰანცე (სავიოლა 82), მარსელუ, სნეიდერი (იგუაინი 65), დიარა, გუტი, დრენტე, რაული, ვან ნისტელროი (ვან დერ ვაარტი 82)

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

იუვენტუსი: მანინგერი, მელბერგი, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, მარკიონი, სისოკო, ტიაგუ, ნედვედი, დელ პიერო (დე ჩელიე 90), ამაური (იაკვინტა 84)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: სისოკო, დრენტე, ლეგროტალიე, გუტი, ვან ნისტელროი, მელბერგი

მსაჯი: პიეტერ ვინკი (ჰოლანდია)

80 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| რეალი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ზენიტი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| ბატე | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |

# ჯარიმების საღამო

**წუხანდელი** ტურის მიმოხილვა E ჯგუფის ამბებით დავიწყოთ: „სელტიკმა“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გლაზგოში თითო გოლი გაუტანეს ერთმანეთს. მართალია, ის, რომ მანჩესტერელმა რაიან გიგზმა ანგარიშის გათანაბრება შეხვედრის ბოლოს შეძლო, იმაზე მეტყველებს, რომ ჩემპიონთა თასის მფლობელს სამეზობლოში გასეირნება არ გამოუვიდა, მაგრამ მეორე მხრივ, ამ ფრემ „იუნაიტედი“ შეჯიბრების შემდეგ ეტაპს მიუახლოვა, „სელტიკი“ კი კვლავ გამარჯვების ნატრული დატოვა. ამავე ჯგუფში „ოლბორგმა“ და „ვილიარეალმა“ თამაშის ოთხი გოლი თანაბრად გაიყვეს. შეხვედრის ბოლოს საქმე გასათანაბრებლად მასპინძლებს ჰქონდათ და მათ ეს ანდრეს დუეს ლაზათიანი ჯარიმის წყალობით შეძლეს.

F ჯგუფში „ლიონმა“ ორი კვირის წინ ბუქარესტში, „სტიაუასთან“ შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. იმ შეხვედრასთან შედარებით გუნდების წუხანდელი დაპირისპირება ნაკლებად ეფექტური იყო, მაგრამ ფრანგული გუნდისთვის ეს გამარჯვებაც ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. ლიონელთაგან გოლები გაიტანეს ჟუნინიო პერნამბუკანომ — რომელმაც თავისი საფირმო საჯარიმო დარტყმა შეასრულა — და ანტონი რევეიერმა, რომელმაც საფინალო სასტვენამდე სულ ცოტა ხნით ადრე მართლაცდა გოლი-„ძახილის ნიშანი“ შეაგდო. აღსანიშნავია, რომ „სტიაუას“ ამ საღამოს ახალი მწვრთნელი, დორინელ მუნტეანუ ედგა სათავეში. მისი წინამორბედი მარიუს ლეკეტუში სწორედ რომ ამ გუნდების ზემოხსენებულმა პირველმა თამაშმა „ჩაყლაპა“.

ამავე ჯგუფის მეორე შეხვედრაში, ფლორენციაში, „ფიორენტინამ“ და მიუნხენის „ბაიერნმა“ 1:1 ითამაშეს. მატჩის ორი გოლი მუტუმ და ბოროვსკიმ გაიტანეს.

უგოლოდ დატოვეს ლონდონის „ემირეით სთედიუმის“ მოედანი „არსენალმა“ და „ფენერბაჰჩემ“. G ჯგუფის ამ შეხვედრის შედეგი იმას ნიშნავს, რომ სტამბოლის გუნდმა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი არ დაკარგა. ლუის არაგონესის შეგირდებმა მასპინძელთა ბურთის ფლობა არად ჩააგდეს და მყარად ნაშენები დაცვით მიაღწიეს თავიანთ ქულას, ხოლო კიევში, მსაჯის წამატებულ წუთებზე ლუჩო გონსალესის დარტყმამ „დინამო“ გაწბილებული და პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. მანამდე, პირველ ტაიმში არტემ მილევსკიმ ანგარიში გახსნა, მაგრამ შესვენების შემდეგ როლანდუმ თავურით გაქვითა. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ხსენებულმა ლუჩომ გოლი ისე მხურვალედ იზეიმა, რომ ავსტრიელ არბიტრ პლაუცს „პორტუს“ კაპიტნის მეორე ყვითლით და, შესაბამისად, გაძევებით „დაჯილდოების“ მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

H ჯგუფის ამბები კი ასე იყო: მინსკში საბჭოთა დერბი სანკტ-პეტერბურგის „ზენიტმა“ მოიგო, ტურის მთავარ შეხვედრაში კი ტურინის „იუვენტუსმა“ დაამტკიცა, რომ ერთი ხნის წინ ერთმანეთს მიწყობილი წარუმატებლობების სიმძიმეს სძლია და ყველაფერს ბრდღვნის — „ბებერმა ქალბატონმა“ მადრიდის „რეალი“ ორი კვირის წინ შინ ხომ დაამარცხა და ამჯერად არაჩვეულებრივი ალესანდრო დელ პიეროს ორი გოლით „სანტიაგო ბერნაბეუზეც“ იგივე გაიმეორა. აღსანიშნავია, რომ მეორე გოლი დელ პიერომაც საფირმო საჯარიმო დარტყმით შეაგდო, ასე რომ, თუ გნებავთ, წუხანდელ სალიგო საღამოს ჯარიმებისა ვუწოდოთ.

**პაპუნა ძიძია**



რაიან გიგზის ამ გოლმა „სელტიკი“ კვლავ მოუგებელი დატოვა

## უნგრეთი

### ლიგის თასი

ბაქტალორანტჰაზა 0:2 რეაკ

ბოცი 2:0 ნირეძჰაზა

დებრეცენი 4:0 ვაკ

დუნაუივაროში 1:3 უიპეშტი

მტკ 1:2 ბუდაორში

კაპოშვარი 1:4 პეჩი

ზალაეგერსეგი 3:1 პაკში

ბორშოდი 2:2 ვაშაში

ფეჰერვარი 2:2 ჰონვედი

## იაპონია

### იმპერატორის თასი

ოიტა 0:2 ტოსუ

შიმიცუ 1:0 ჩიბა

## ლიტვა

### A ლიგა

ეკრანასი 2:1 კაუნასი

## ბულგარეთი

### A ჯგუფი

ჩერნომორეცი 2:2 ლევსკი

## გერმანია

### სამხრეთ რეგიონალლიგა

ფიურტი (მ) 0:2 ალემანია (მ)

## პორტუგალია

### ლიგის თასი

ოლიანენსე 2:0 ნავალი


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ უოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00


რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge